К 213.209
3

ოთარ ჯანელიძე

26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ

საქართველოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის სახელობის
საზოგადოება „ცოდნა“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჯანელიძე

26 მაისიდან
25 თებერვლისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა
1998-2000

12-13

თბილისი
1990

9(ს922).1918.06 – 1921.02"
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
1918 წ. 26 მაისი – 1921 წ. 25 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISBN 5—89512—050—4

© საქართველოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის
სახელობის საზოგადოება „ცოდნა“, 1990.

საქართველო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

К 213.209

წინათქმა

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს თვალწინ გადაიშალა ჩვენივე სამშობლოს გარდასულ დღეთა უცნობი და იდუმალებით მოსილი სამყარო, სამყარო, რომლის შესახებ ფართო მკითხველმა აქამდე ან სულ არაფერი იცოდა, ანდა თუ იცოდა — მხოლოდ მცდარი და გაუკუღმართებული ისტორია.

ეს სამყარო არის საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის 996 დღე, — ომებით, რევოლუციებითა და კატაკლიზმებით სავსე XX საუკუნის პირველ მეოთხედში, — ჟამი, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეკუთნოდა“ და საკუთარი ცხოვრების გამგებელნი თავადვე ვიყავით.

1918-1921. უფრო და უფრო ხშირად ვხვდებით ამ თარიღს ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ეს წლები დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფალი და შემოქმედებითი ცხოვრების ხანაა, რომელსაც, სამწუხაროდ, არ ეწერა ხანგრძლივი არსებობა... ახლის ძიებისა და შენების გზაზე იყო წარმატებებიც და იყო შეცდომებიც. ეროვნული აღმავლობის ამ წლებს ახსოვთ როგორც ჩვენი გამარჯვებების სიხარული, ისე მარცხის სიმწარეც.

შინაგანი დრამატიზმით აღსავსე დროის ამ მცირე მონაკვეთმა დაიტია დამოუკიდებელი საქართველოს აღზევებისა და დაცემის მთელი ისტორია.

1918-1921 — სამი კალენდარული წელი, — ისტორიის უსამანო წელთაღრიცხვაში იგი მხოლოდ ერთი გაელვებაა, ხოლო ქართველთათვის, კ. გამსახურდიას სიტყვით რომ ვთქვათ: „სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი“.

ორი თარიღი უნდა გამოიყოს განსაკუთრებით, — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი დაარსებისა — კნელი დღე:

1918 წლის 26 მაისი! — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, — ქართველთა ეროვნული სიამაყის ჭეშმარიტი დღესასწაული!

1921 წლის 25 თებერვალი! — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცემა, — უცხო ძალის მიერ საქართველოს დაპყრობის ავბედითი დღე!

წინამდებარე ნარკვევი წარმოადგენს იმ მიზეზების ახსნის ცდას, რომელთაც 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ უკუსვლა, ანუ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვა განაპირობეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1918 წ. 25 მაისს ხაშურთან ახლომდებარე სოფელ აძვისში ერთი უბრალო ქართველი გლეხიკაცი, დავით კაპანაძე, გარდაიცვალა. 26 მაისს საქართველოში ისტორიული კვირადღე გათენდა — გამოცხადდა საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ისტორიამ შემოინახა საოცარი საფლავის ქვა, რომლითაც შვილებმა არა მარტო საკუთარი მამის — დავით კაპანაძის სახელი უკვდავყვეს, არამედ იმ თაობების ქართველთა გულისთქმაც გააცხადეს, სამშობლოს ბედნიერებისათვის რომ იბრძოდნენ, მაგრამ ამ სანუკვარ დღეს ვერ მოესწრნენ. აი, რა წერია იმ საფლავის ქვაზე: „მონობაში ტანჯულო, დაუვიწყარო მამავ! შენი ნატვრა აღსრულდა — საქართველო განთავისუფლდა! 1918 წ. 26 მაისი“.

დიახ, 1918 წლის 26 მაისს საქართველო განთავისუფლდა: ქართველმა ხალხმა გადაიგდო რუსეთის იმპერიის 117 წლოვანი კოლონიური უღელი, დაიბრუნა დაკარგული სახელმწიფოებრიობა და შექმნა სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ამ ისტორიულ თარიღს წინ უსწრებდა დიდმნიშვნელოვანი ამბები: 1917 წლის თებერვალში რუსეთში თვითმპყრობელობა დაემხო. ეს იყო სანიშანსვეტო მოვლენა ხალხმრავალი იმპერიის ცხოვრებაში. რუსეთმა შვებით ამოისუნთქა. ნიკოლოზ II ტახტიდან ჩამოგდების ამბავი, კონსპირაციული გზით, თბილისში მაშინვე შეიტყვეს. ეს ასე მოხდა: მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ვიქტორ ნოზაძემ და გოგიტა ფალავამ თბილისში გამომავალ გაზეთ „თანამედროვე აზრის“ რედაქციაში 27 თებერვალს მოსკოვიდან ასეთი დეპეშა გამოგზავნეს: „მთავრობადზე სკონჩალსია 3 პეტროგრადე. ოპოვესტიტე ვსეხ“ („კავკასიონი“, 1967 წ., № 12, გვ. 132). დეპეშა რედაქციის თანამშრომელმა ვასო წულაძემ და პაველ იაშვილმა გაშიფრეს. სწორედ ეს დეპეშა გახდა საბაბი ერთი

მოსწრებული გამოთქმისა, რომელიც იმხანად თბილისში გავრცელდა: „საქართველოში თავისუფლება პეტროგრადიდან ფოსტით მივიღეთო“.

(ნ. ჟორდანიას აზრით, თებერვლის რევოლუცია ასეთივე „ფოსტით“ მიიღო მთელმა იმპერიამ და არა მარტო საქართველომ. ამ აზრში არის გარკვეული სიმართლე, რადგან 1917 წ. თებერვალი I მსოფლიო ომისა და მისგან გამოწვეული კრიზისის შედეგი უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკური პარტიებისა და რევოლუციონერთა პირადი წვლილისა).

თვითმპყრობელობის დამხობამ თბილისის მოსახლეობაში უდიდესი აღტაცება და სიხარული გამოიწვია. ხალხი ქუჩებში გამოეფინა, მოეწყო დემონსტრაციები და მსვლელობები.

საგულისხმოა, რომ სწორედ ამ დღეებში დაიწერა და გამოქვეყნდა გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი „დროშები ჩქარა“ (აგერ აქამდე კი მიჩნეული იყო, თითქოს ეს ლექსი პოეტმა ოქტომბრის რევოლუციას უძღვნა).

საბურთალოსა და ნაძალადევის მიდამოებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები და მანიფესტაციები. წარმოთქვამდნენ მღელვარე სიტყვებს, იყო სიმღერა, ცეკვა, დროშები, უკრავდა ორკესტრი... ხალხი „გამარჯვებასა“ და თავისუფლებას დღესასწაულობდა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ამ თავისუფლების მოპოვებისათვის მას ერთი თოფიც არ გაუსვრია და არც დიდი საპარლამენტო ბრძოლები გადაუხდია.

1917 წლის თებერვალმა დაამსხვრია რომანოვთა სამასწლოვანი სამეფო ტახტი, რამაც რუსეთის იმპერიულ მთლიანობასაც შეურყია საფუძველი. „ხალხთა საპყრობილის“ კარი ერთბაშად გაიხსნა და იმპერიის ჩაგრულ ერებს თვითგამორკვევის შესაძლებლობა გაუჩნდათ. ამ გარემოებამ საქართველოსთვისაც დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ხელსაყრელი პირობები შექმნა, თუმცა ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა ერთბაშად არ მომხდარა. მას წინ უსწრებდა ამიერკავკასიის ჯერ სამხარეო მმართველობა, შემდეგ კი ფედერაციული სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ორივე მათგანმა, ერთად აღებულმა სულ, რაღაც 14 თვეს გაძლო.

1917 წ. 9 მარტიდან 15 ნოემბრამდე არსებობდა დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული განსაკუთრებული კომიტეტი — ოზაკომი, რომლის თავმჯდომარე იყო რუსი კადეტი

ხარლამოვი. კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ IV სახელმწიფო სათათბიროს კავკასიელი დეპუტატები. ქართველთაგან ოზაკომის წევრები იყვნენ სოციალ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე, ხოლო შემდეგ სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი.

1917 წ. 15 ნოემბრიდან აღნიშნული განსაკუთრებული კომიტეტი ამიერკავკასიის კომისარიატმა შეცვალა. მისი თავმჯდომარე გახდა ქართველი სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი. 1918 წ. 10 თებერვლიდან კომისარიატის ადგილი უკვე ამიერკავკასიის სეიმმა დაიჭირა. სეიმში ძირითადად რუსეთის დათხოვნილი დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დეპუტატები შევიდნენ. სეიმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. მთავრობა ჯერ ევ. გეგეჭკორმა შეადგინა, მოგვიანებით კი აკ. ჩხენკელმა.

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის ყველა მმართველი ორგანოს შტაბბინა თბილისში იყო. ოზაკომში, კომისარიატსა და სეიმში მონაწილეობით ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გარკვეული „სტაჟირება“ განვლეს და დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სათავეში „სახელმწიფოებრივი“ გამოცდილებით მოვიდნენ. თუ როგორ შეძლეს მათ სახელმწიფოს მართვა, ამას ქვემოთ ვნახავთ. ახლა კი ერთ ფაქტსაც მივაპყროთ ყურადღება: 1917 წ. 19-22 ნოემბერს შედგა საქართველოს პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო საზოგადოებების და სხვათა წარმომადგენლების კრება, რომელმაც თავი ეროვნულ ყრილობად გამოაცხადა. ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. ჟორდანია.

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა არ ყოფილა მტკიცე პოლიტიკური სახელმწიფო. იგი ნაჩქარევად შექმნილ, ხელოვნურ გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელსაც შინაგანი წინააღმდეგობა — უთანხმოებები ღრღნიდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, კერძოდ, 1918 წ. 9 აპრილს, ამიერკავკასია გამოეყო საბჭოთა რუსეთს და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დიდი გულისტკივილით გააკეთეს ეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა. თავად განსაჯეთ: მათი პოლიტიკური მრწამსი ხომ რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და განუყოფლობის იდეას შეესაბამებოდა.

პარტიული კუთვნილების მხრივაც ისინი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები იყვნენ. გამოდიოდა — პარტია — რუსეთის, ხოლო სახელმწიფო თან-რუსეთისაგან გამოყოფილი. მეტი რომ არა ვთქვათ, ქართველი სოციალ-დემოკრატები უხერხულ დღეში აღმოჩნდნენ. აქამდე არა თუ რუსეთისაგან გამოყოფა, მათ რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიის გაგონებაც კი არ სურდათ (ნ. ჟორდანიას ეკუთვნის სიტყვები: „როგორი ხონჩითაც არ უნდა მიგერთმია ქართველი ხალხისათვის პოლიტიკური ავტონომია, ხონჩიანად უკან დაგიბრუნებდაო“). ამიერკავკასიის გამოყოფის საკითხზე კენჭისყრისას პირადად ნ. ჟორდანიამ თავი შეიკავა.

როცა ამ საკითხზე ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი მომენტიც. რუსეთში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლისთანავე ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მათგან პირი იბრუნეს და ეროვნულ საკითხებს დაუბრუნდნენ. ამასთან დაკავშირებით გერონტი ქიქოძე 1919 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „ეროვნული ენერგია“ წერდა: „...როგორც იდეური ბელადი, ჟორდანია, რასაკვირველია, წინ უსწრებს თავის პარტიულ ლაშქარს. მაგრამ მისი პირადი ევოლუცია არსებითად მთელი ქართველი სოციალ-დემოკრატიის ევოლუციაა. მსოფლიო ომი და რუსეთის რევოლუცია კარგი სკოლა იყო ამ ხალხისათვის. მათ თანდათან ისწავლეს საკუთარი თვალებით ცქერა და საკუთარი ფეხებით სიარული. ჩვენი სამშობლოს მზემ ნელ-ნელა გააღხო მათი გაყინული დოგმები“ (გვ. 140).

გართულებებმა საგარეო პოლიტიკაში (კავკასიის ფრონტის მოშლა და რუსეთის ჯარის წასვლა, ბრესტის ზავის არ ცნობა, თურქეთის მხრივ საფრთხე და სხვ.) დააჩქარეს ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა. ზემოაღნიშნულს სხვა გარემოებაც უნდა დავუმატოთ: 1918 წ. მაისის პირველ ნახევარში ბათუმში განახლდა საზავო მოლაპარაკება ამიერკავკასიის სეიმსა და თურქეთს შორის. დელეგაციების შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა გერმანიის წარმომადგენლობაც. მოლაპარაკებაზე შექმნილმა მდგომაერობამ აკ. ჩხენკელს უბიძგა, მფარველობა ეძია გერმანიასთან. თავის მხრივ გერმანიის წარმომადგენელმა საკუთარი მთავრობის სახელით ქართველებს აღუთქვა, რომ თუ საქართველო გამოცხადდებოდა დამოუკი-

დებელ სახელმწიფოდ, დამოუკიდებლობის დაცვის გარანტის როლს იკისრებდა გერმანია[1]. კაიზერს ქართველებისადმი სიმპატია და ქველმოქმედება როდი ამოძრავებდა. დიდ პოლიტიკაში ასეთი რამ არ ხდება. ცხადია, გერმანიას თავისი საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნებიც ჰქონდა საქართველოში. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლებოდა მისი გამოყენება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დასაჩქარებლად. ქართველებმა შანსი ხელიდან არ გაუშვეს და აღარც დააყოვნეს. ზურაბ ავალიშვილის სიტყვით, იქვე, ბათუმში გამართულ თათბირზე ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებმა ეს საკითხი მოიწონეს და დამოუკიდებლობის გამოცხადების მოსამზადებელ მუშაობასაც შეუდგნენ.

აღნიშნულ თათბირს, რომელიც 1918 წ. 22 მაისს შედგა და საქართველოს შემდგომი ბედის გადაწყვეტას მიეძღვნა, ესწრებოდნენ: ზ. ავალიშვილი, აკ. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე, ნ. ჟორდანია და პ. სურგულაძე. აქვე ერთი სხვა სხდომაც უნდა გავიხსენოთ. იგი უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვალში გაიმართა თბილისში. დავით ვაჩნაძის ბინაზე შეკრებილან ნ. ჟორდანია, ევ. გეგეჭკორი, მ. წერეთელი, დ. ვაჩნაძე, იოსებ გედევანიშვილი და მელიტონ ქარცივაძე. სწორედ ამ შეხვედრაზე გადაწყვეტილა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, როგორც კი ამისათვის შესაფერისი მომენტი დადგებოდა. ამ შეხვედრის შესახებ მოგვიანებით მიხაკო წერეთელი იხსენებდა: „1917 წლის... ერთ საღამოს შევიკრიბეთ ერთი ჩვენი მეგობრის სახლში ერთი კახელი, ერთი გურული, ერთი მეგრელი, ერთი ქართლელი და ერთი იმერელი. ეს იმერელი მე ვიყავი. მაშინ წყდებოდა საქართველოს ბედი და თითქოს რაღაც განგებით ამ მცირე

---

[1] გერმანიასთან ამგვარი შეთანხმება უთუოდ იმანაც გააადვილა, რომ ევროპაში მოქმედი „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის" წევრებმა — მიხაკო წერეთელმა და გიორგი მაჩაბელმა — წინასწარ შეამზადეს ნიადაგი. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან ახლო ხანებში ისინი შეხვდნენ გერმანიის იმპერატორს ვილჰელმ II და მოავრობის სხვა წარმომადგენლებს, რომელთაგანაც საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე თანხმობა მიიღეს.

კრებას ყოველი კუთხის კაცი დაესწროო“ (გაზ. „კომუნისტი“, 1989 წ., 9 ივლისი).

„საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სანიმუშო პროექტი“ ზურაბ ავალიშვილს შეუდგენია (ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925 წ., გვ. 84).*

ბათუმის სხდომის მონაწილეებმა ეს პროექტი მოიწონეს და მიიღეს. ზ. ავალიშვილი თავის მემუარებში იგონებს: „ნ. ჟორდანიას ეტყობოდა რყევა... საქართველოს დამოუკიდებლობა არ შეეფერებოდა არც მის წინანდელ მუშაობის მოძღვრებას, არც რუსეთის სოც. დემ. პარტიის წევრობას, მაგრამ, როცა „ირწმუნა“, ახალი პროგრამის ჩატარებას გამოცდილის ხელით შეუდგაო“. შემდეგი ნაბიჯი ნ. ჟორდანიამ, მართლაც, წინდახედულად გადადგა. საქართველოს გამოყოფის საკითხი მას ერთბაშად სეიმის სხდომაზე კი არ დაუყენებია, არამედ ჯერ სათანადო ნიადაგი მოუსინჯავს, — ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების განზრახვა წინასწარ სომხებისათვის გაუნდვია. თავის მოგონებების წიგნში „ჩემი წარსული“, რომელიც 1953 წ. პარიზში გამოიცა, ნ. ჟორდანია წერს: „მოვიწვიე სომხები ცალკე და გავაცანი მდგომარეობა. აგარონიანმა თბილი სიტყვებით მომმართა — რაკი ქართველებს ეს გადაარჩენს, რა დაგვრჩენია, რომ არ დავადასტუროთ და მოგილოცოთ, ჩვენ უბედურებაში არ გვინდა სხვებიც ჩავითრიოთო“.

სხვათა შორის, იმხანად ქართველთა და სომეხთა შორის, მიუხედავად ზოგი უთანხმოებისა, ერთობა და სოლიდარობა უფრო სუფევდა, რასაც ვერ ვიტყვით ფედერაციის მესამე წევრის — აზერბაიჯანის — შესახებ.

1918 წლის 26 მაისს თბილისში შეიკრიბა სეიმის უკანასკნელი სხდომა. რაკი პირობები გარკვეულად წინასწარ იყო შემზადებული, სხდომა დიდხანს არ გაგრძელებულა. სეიმმა თავიდან მოიხსნა ყოველგვარი რწმუნებულება და ამიერკავკასიის ფედერაცია დაშლილად გამოაცხადა.

---

* ზოგიერთი სხვა ცნობით (ნ. ჟორდანიას მოგონება და სხვ), „პროექტის“ ავტორი ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავაა.

26 მაისი კვირა დღე იყო. ძველ ქართულში კვირას მზისა ერქვა, მაისს კი ვარდობისთვე. მაშ, დგას 1918 წლის 26 ვარ-
რდობისთვე, მზისა! ჭეშმარიტად მზიანი და ნათელი დღე ქართველთათვის.

4 საათისათვის ყოფილი მეფისნაცვლის სასახლიდან დაშ-
ლილი სეიმის დეპუტატები გამოვიდნენ. დარბაზში საქართვე-
ლოს ეროვნული საბჭო შეიკრიბა. ამ ისტორიულ სხდომას
საბჭოს 42 წევრი და 36 კანდიდატი დაესწრო. მოწვეულთა
შორის იყვნენ: თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე — სამ-
ღვდელო ამალითურთ, ქართველი მხედრობა, სხვა ერთა
წარმომადგენლები. საპატიო სტუმართა შორის გამოირჩეოდ-
ნენ გერმანიის ჯარის უფროსი გრაფი შულენბურგი და სხვა
ოფიცრები.

ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის მაგიდაზე ორი მომცრო
ალამი იდგა: ერთი — ეროვნული, სამფერი, მეორე კი —
რევოლუციური, მხოლოდ წითელი (ეს ფაქტი საჭიროა და-
ვიმახსოვროთ). სხდომას თავმჯდომარეობდა ნ. ჟორდანია,
მდივნობდა ილია ზურაბიშვილი. პრეზიდიუმში მათ გარდა
ისხდნენ გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი და პავლე
საყვარელიძე.

სხდომა ნ. ჟორდანიამ გახსნა. „მოქალაქენო! დღეს თქვენ
აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის და ამავე დროს ტრაგი-
კული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი
ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელ-
მწიფოს“, — აღნიშნა მან.

შესავალი სიტყვის შემდეგ ნ. ჟორდანია ეროვნული საბ-
ჭოს სახელით კითხულობს „საქართველოს დამოუკიდებლობის
აქტს“. გაისმის ნანატრი სიტყვები: „ამიერიდან საქართველოს
ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო
სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა!“ დარბაზი
ფეხზე ამდგარი ისმენს „აქტის“ კითხვას და ხანგრძლივი ტა-
შით ეგებება მას. ამაღლებული განწყობილებაა. უნებურად
გახსენდება პოეტის სიტყვები: „შეჩერდი წამო, შენ მშვე-
ნიერი ხარ!“ ან კიდევ — „დრო, დრო აღნიშნე!“ და მეისტო-
რიემაც ზუსტად აღნიშნა დრო: საათი 5 საათსა და 10 წუთს
უჩვენებდა...

ნ. ჟორდანიამ კითხვა დაამთავრა. ეროვნული საბჭოს წევ-

რებმა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ ერთხმად მიიღეს. ასევე ერთხმად იქნა დამტკიცებული დროებითი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: ნოე რამიშვილი — (სოც.-დემოკრატი) — მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი; აკაკი ჩხენკელი (სოც.-დემოკრატი) — საგარეო საქმეთა მინისტრი; გრიგოლ გიორგაძე (სოც.-დემოკრატი) — სამხედრო მინისტრი; გიორგი ჟურული (ეროვნულ-დემოკრატი) — ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი; გიორგი ლასხიშვილი (სოც.-ფედერალისტი) — განათლების მინისტრი; ნოე ხომერიკი (სოც.-დემოკრატი) — მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი; შალვა მესხიშვილი (სოც.-ფედერალისტი) — იუსტიციის მინისტრი და ივანე ლორთქიფანიძე (სოც.-რევოლუციონერი) — გზათა მინისტრი.

სასახლის წინა მოედანზე რამდენიმე ათასი კაცი შეკრებილა. „დამოუკიდებლობის აქტი“ მათთვის ცალკე წაიკითხეს. აღტაცებული ხალხი ერთსულოვანი ტაშითა და ძახილით — „გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!“ — მიესალმა „დამოუკიდებლობის აქტს“.

მოზეიმე ხალხს რამდენიმე პატრიოტი გამოეყო. მათ ჩამოხსნეს სასახლის თავზე მოფრიალე სოციალ-დემოკრატების წითელი დროშა რუსული წარწერით: „და ზდრავსტვუეტ როსიისკოე უჩრედიტელნოე სობრანიე“ და სანაცვლოდ ეროვნული სამფეროვანი დროშა აღმართეს („საქართველო“, 1918, 31 მაისი; „ერთობა“, 1918, 1 ივნისი).

მთავრობამ ეროვნული დროშა სასწრაფოდ წითელი დროშით შეაცვლევინა. შემდეგში ხალხის მოთხოვნით სამფეროვანი დროშა კვლავ აღიმართა და სასახლის თავზე კარგა ხნის განმავლობაში სოციალ-დემოკრატების პარტიული და ქართული ეროვნული დროშები ერთად ფრიალდება[1].

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მესვეურთ პირველი დღიდანვე ორი დროშის ერთგულება დაეკვებათ — ეროვნულისა და პარტიულის. რომელი რომელს სძლევდა, ამა-

---

[1] ნ. ჟორდანიას ადიუტანტის, კ. იმნაძის გადმოცემით, პარტიული დროშა სასახლიდან მთავრობის თავმჯდომარეს 1918 წლის ოქტომბერში ჩამოუხსნევინებია.

ზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, რადგან „ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ქვეყნის მართვა-გამგებლობა ეროვნულ საბჭოს დაეკისრა, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ეწოდა. იგი მალე გაფართოვდა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით შეივსო. ჩამოყალიბდა მრავალპარტიული ეროვნული საკრებულო და მის წინაშე პასუხისმგებელი დროებით კოალიციური მთავრობა, სადაც წამყვან როლს სოციალ-დემოკრატები ასრულებდნენ.

სუვერენიტეტის დამკვიდრებამ და სახელმწიფოებრიობის აღდგენამ ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა, თვითვე განესაზღვრა და აერჩია საკუთარი სახელმწიფოებრივი განვითარების სამომავლო გზა.

რომელი ქვეყნის გამოცდილების გაზიარება იყო უფრო მისაღები იმ ხანად საქართველოსათვის? რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ საბჭოების ხელისუფლება დაამყარა და პროლეტარიატის, უფრო სწორი იქნება ვთქვათ,— ბოლშევიკური პარტიის დიქტატურა გააბატონა; ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და სხვ.) დამკვიდრებული იყო პარლამენტარული მმართველობა. ქართველი საზოგადოებრიობა კარგად იცნობდა ერთსაც და მეორესაც: საბჭოთა ხელისუფლების ჩანასახი ფორმა — მუშათა დეპუტატების საბჭოები რუსეთში სტიქიურად წარმოიშვა პირველი სახალხო რევოლუციის წლებში, ხოლო პარლამენტარიზმის იდეა თვით ქართულ სინამდვილეში სათავეს საუკუნეების სიღრმეში იღებს. ჯერ კიდევ XII საუკუნის ბოლოს ყურთლუ არსლანის დასმა განიზრახა თამარ მეფის კარზე დემოკრატიული საკანონმდებლო წარმომადგენლობითი ორგანოს — „კარავის“ დაარსება, მაგრამ ამ იდეას იმ ხანად განხორციელება არ ეწერა.

ხელისუფლების სათავეში ჩამდგარმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გადაჭრით უარი თქვეს მმართველობის რუსეთში დამკვიდრებულ ფორმაზე — დიქტატურაზე და სახელმწიფოებრივი განვითარების დემოკრატიული გზა აირჩიეს, ამასთანავე საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივ ნეიტრალურ ქვეყნად გამოაცხადეს.

ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელისუფალთა უპირველეს ამოცანას ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ამ მიზნით დადებულ იქნა ხელშეკრულება გერმანიასთან სამხედრო-პოლიტიკური დახმარების თაობაზე, რასაც საქართველოში გერმანიის არმიის შეზღუდული კონტინგენტის (რამდენიმე ბატალიონის) შემოსვლა მოჰყვა. ამავე დროს 1918 წ. 2 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სახალხო გვარდიის, ხოლო 20 აგვისტოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ. დაწესებულ იქნა სამხედრო ბეგარა (ნამდვილ სამსახურში 2 წელი, სათადარიგოში — 15 და ლაშქარში — 8 წელიწადი).

ეროვნული არმია, რომლის ბირთვი შეადგინა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წლებში ჩამოყალიბებულმა ორმა ქართულმა პოლკმა, მუდმივ ჯარსა და ლაშქარს აერთიანებდა.

მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალების შექმნა და განმტკიცება დიდ მატერიალურ სახსრებს საჭიროებდა, რაც რესპუბლიკის მთავრობას არ გააჩნდა. ამიტომ საქართველოს მუდმივი არმიის შემადგენლობა 30-40 ათას ჯარისკაცს თუ აღწევდა.

როცა დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების ორგანიზაციაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის — რევაზ გაბაშვილის — მოგონება, რომლის მიხედვითაც, ჯერ გერმანელებს, ხოლო შემდეგ ინგლისელებს საქართველოს მთავრობისათვის შეუთავაზებიათ ერთი და იგივე წინადადება, რომ ისინი თავიანთი ხარჯით შეუქმნიდნენ მას ორ დივიზია ჯარს, გაიღებდნენ საჭირო ფულსაც, მისცემდნენ იარაღს და ინსტრუქტორებსაც. იმ მდგომარეობაში ამაზე უკეთესი დახმარება რაღა იქნებოდაო, — დასძენს რ. გაბაშვილი. მაგრამ საოცარი და აუხსნელია ჩვენთვის, რომ საქართველოს მთავრობას ეს წინადადებები არ მიუღია, საკუთარი შესაძლებლობებით შექმნილი არმია კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქვეყნის თავდაცვისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სახელმწიფოს შიგნით ანარქიასთან ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანიზაციას. ხელისუფლების ძირითად

დასაყრდენს ამ საქმეში სახალხო გვარდია და მილიცია წარმოადგენდა, მაგრამ ამავე დროს დამატებით შეიქმნა საგანგებო, ე. წ. მფრინავი რაზმები, რომლებსაც ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების ლიკვიდაცია ევალებოდათ.

მთავრობამ გააუქმა წოდებები: თავადი, აზნაური, გლეხი და საქართველოს ყველა მცხოვრები აქცია მოქალაქედ, რითაც ისინი კანონის წინაშე ერთმანეთის თანასწორი გახადა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა დათმეს ძალაუფლება, რომელიც მთავრობისა და პარლამენტის ხელში გადავიდა. გაუქმდა ქვეყნის დაყოფა გუბერნიებად, ლიკვიდირებულ იქნა სამაზრო და სარაიონო კომისართა თანამდებობები. ადგილობრივი ხელისუფლების ერთადერთ ორგანოებად იქცნენ ერობები, რომელთა არჩევნებში საერთო წარმატება სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ახლადშექმნილი სახელმწიფოს ეკონომიკა და ფინანსები, რის გამოც მეურნეობის აღორძინება მხოლოდ შინაგანი ძალებით შეუძლებელი იყო. აუცილებლობას წარმოადგენდა საქართველოში უცხო კაპიტალის მოზიდვა, რაც ორი გზით მიიღწეოდა: 1. სესხის მიღებით და 2. კონცესიების გაცემით. საქართველოს მთავრობა ენერგიულად ზრუნავდა ამ კუთხით, მაგრამ სიფრთხილეს იჩენდნენ ევროპის სახელმწიფოები, რომლებსაც ამიერკავკასიაში არსებული არასტაბილური ვითარება ენთუზიაზმსა და ხალისს უკარგავდა.

საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 90 პროცენტს გლეხობა შეადგენდა. ბუნებრივია, ასეთ აგრარულ ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მიწის საკითხის მართებულ გადაწყვეტას. ცნობილია, რომ სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური ნაწილი აგრარულ საკითხში ადრიდანვე მიწის მუნიციპალიზაციის იდეას იცავდა, მაგრამ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა სხვა გზა აირჩიეს. ცხოვრებამ ისინი დაარწმუნა, რომ „წვრილ წარმოებას კერძო საკუთრება უფრო ეგუება. იგი არც ეკონომიკურ განვითარებას შებორკავს და არც გლეხებისათვის იქნებოდა მიუღებელი“ („ერთობა“, 1918 წ., 6 ნოემბერი). ამ პრინციპზე აიგო ახალი აგრარული კანონპრო-

ექტი, რომელიც შემდეგ დაამტკიცა დამფუძნებელმა კრებამ. კანონმა მიწაზე კერძო საკუთრება დააწესა, ამავე დროს დაშვებულ იქნა სახელმწიფო ფონდიდან გლეხობაზე მიწების მისყიდვა. აგრარული საკითხის ამგვარ გადაწყვეტას ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების შემთხვევაში დადებითი შედეგი უნდა გამოეღო, მაგრამ ისტორიამ სხვაგვარად ინება.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დროის მცირე მონაკვეთში შეძლო სკოლის, სამართალდამცავი და მართვა-გამგებლობის ორგანოების გაეროვნულება. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლად გადაიქცა თბილისის უნივერსიტეტი, გაიხსნა კონსერვატორია, სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა პროფესიული კადრების უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში მოსამზადებლად. მიღებულ იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის სახელმწიფო ენის, რესპუბლიკის დროშისა და ღერბის შესახებ და სხვ.

1918 წ. 20 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება. კრების დანიშნულებას ქართული სახელმწიფოებრიობის მტკიცე ნიადაგზე დამკვიდრება და მომავლის პროგრამის შემუშავება შეადგენდა. საზოგადოებამ ცხოველი ინტერესი გამოავლინა დამფუძნებელი კრების მიმართ, რომლის არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვლისათვის დაინიშნა.

გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომლებიც ფართოდ ჩაებნენ საარჩევნო კამპანიაში. პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო და ფარული არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდებოდა. ასარჩევი იყო 130 დეპუტატი. დემოკრატიული საარჩევნო დებულება საშუალებას იძლეოდა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს, ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და კავშირებს წამოეყენებინათ თავიანთი კანდიდატები თუნდაც ყველა ადგილზე. თითოეული პარტიის კანდიდატთა სიას თავისი ნომერი ჰქონდა მიკუთვნებული.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო (თავისი კანდიდატები წარადგინა) 15 პარტიამ, კავშირმა და სხვა გაერთიანებამ. კანდიდატთა საარჩევნო სიები წარმოდგენილი იყო შემდეგი ნუმერაციით: № 1— საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, № 2 — საქართველოს ეროვ-

ნულ-დემოკრატიული პარტია, № 3 — საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, № 4 — დაშნაკცუთიუნი, № 5— საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტია, № 6 — მუსულმანთა ეროვნული საბჭო, № 7 — საქართველოს რადიკალ-დემოკრატების პარტია, № 8 — საქართველოს ეროვნული პარტია, № 9 — მემარცხენე სოციალ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია, № 10 — შოთა რუსთაველის ჯგუფი, № 11 — დამოუკიდებელი (უპარტიო) კავშირი, № 12— ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ მუსულმანთა ჯგუფი, № 13— რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, № 14 — ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა და № 15 — საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი.

ზოგიერთ სიაში მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კანდიდატი იყო წარმოდგენილი. მაგალითად, „ესთეტიურ ლიგაში პატრიოტებისა", რომელიც ქართველი პოეტების, მწერლებისა და მხატვრების ჯგუფს აერთიანებდა, შედიოდნენ პაოლო იაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, პავლე ინგოროყვა, ტიციან ტაბიძე, ლადო გუდიაშვილი და ალი პისენიშვილი. თავიანთ საარჩევნო ბიულეტენში ყველაზე მეტი (130) კანდიდატი შეიყვანეს სოციალ-დემოკრატებმა (სია № 1).

ქართულ, რუსულ, თათრულ და სომხურ ენებზე შედგენილი თხუთმეტივე სია გამოქვეყნდა პრესაში და არჩევნებამდე ორი კვირით ადრე გამოიკრა დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბიუროში, რომელიც მოთავსებული იყო გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლში.

როგორც ვხედავთ, დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური და ეროვნული სპექტრი მართლაც რომ ფართოა. აქ არის საქართველოში იმხანად მოქმედი თითქმის ყველა მეტნაკლებად გავლენიანი ძალა, გარდა ბოლშევიკებისა.

საქართველოს ბოლშევიკებს დამფუძნებელი კრების არჩევნების მომენტში თავიანთი დამოუკიდებელი პარტია არ გააჩნდათ, მაგრამ ჰქონდათ რამდენიმე საქალაქო და საოლქო ორგანიზაცია, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ რუსეთის კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა). აქვე უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციულ მხარეს ბოლშევიკებისათვის არ შეუშლია ხელი, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. საქარ-

K 213.209
საქართველოს ეროვნული

თველოს ბოლშევიკებმა დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს პრინციპულ მოსაზრებათა გამო. საქმე ისაა, რომ ისინი არ ცნობდნენ დამოუკიდებელ საქართველოს და არც მისი მთავრობის მიერ მოწყობილი არჩევნები მიაჩნდათ კანონიერად. ამიტომ ცენტრის მითითების შესაბამისად ბოლშევიკებმა არჩევნების ჩაშლა გადაწყვიტეს და ბოიკოტის ტაქტიკას მიმართეს.

ბოიკოტი მათი ნაცადი ტაქტიკა იყო ჯერ კიდევ პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროიდან. მართალია, შემდეგ ლენინმა აღიარა, რომ ეს შეცდომა იყო, მაგრამ ბოიკოტის იდეა ბოლშევიკებს არ დავიწყებიათ.

როგორც ითქვა, 1919 წლისათვის საქართველოს ბოლშევიკებს ცალკე პარტია არ ჰქონიათ. აქაური ბოლშევიკური ორგანიზაციები ექვემდებარებოდნენ პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტს, ეს უკანასკნელი კი — რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. სამხარეო კომიტეტს ბინა იმ დროისათვის თბილისში ედო და თვით კომიტეტში წამყვან როლს ქართველი ბოლშევიკები ასრულებდნენ. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ. ბოლშევიკები გადაჭრით დაუპირისპირდნენ დამფუძნებელ კრებას და შეეცადნენ მიემხროთ ფართო მასები არჩევნების ჩასაშლელად. 1919 წ. თებერვალში კავკასიის სამხარეო კომიტეტმა შემდეგი მოწოდება გამოაქვეყნა: „მენშევიკები და ყველა ჯურის ნაციონალისტები აპირებენ, კვლავ მოატყუონ ხალხი, იწვევენ რა დამფუძნებელ კრებას საყოველთაო არჩევნების გზით...

ჩვენი პარტია, მუშების, ღარიბი გლეხობის, ჯარისკაცებისა და ყველა პატიოსან მშრომელთა პარტია, გამოდის წინააღმდეგ ასეთი კრებისა და იმგვარი არჩევნებისა, რომლის შემწეობით მენშევიკებს, ყველა კაციჭამია-ნაციონალისტებსა და გაქსუებულთა პარტიას განზრახული აქვთ კვლავ მოატყუან ხალხი.

ისინი აპირებენ, სამუდამოდ მოსწყვიტონ ჩვენი ქვეყანა რევოლუციური რუსეთის მუშებს, გლეხებსა და წითელარმიელებს და გადააქციონ იგი გაზულუქებულ ქართველთა მამულად. ამიტომაც ჩვენი პარტია არ იღებს არავითარ მონაწილეობას ამგვარ არჩევნებში, უცხადებს ბოიკოტს ნაციონა-

ლურ დამფუძნებელ კრებას და მოუწოდებს ყველას, არ მიიღონ მონაწილეობა მენშევიკებისა და სხვა ნაციონალისტების მატყუარა საქმეებში...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკლამაცია მთავრდებოდა მოწოდებით „გაუმარჯოს ბოიკოტს!“

ბოლშევიკების ბოიკოტის ტაქტიკამ შედეგი ვერ გამოიღო. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები წარმატებით ჩატარდა. არჩევნებში ყველაზე მეტი — 109 მანდატი სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს. 8-8 დეპუტატი გაიყვანეს ეროვნულ-დემოკრატიულმა და სოციალ-ფედერალისტურმა პარტიებმა, 5 ადგილი სოციალისტ-რევოლუციონერებს ხვდათ (დამფუძნებელი კრების დამატებით არჩევნებს პოლიტიკურ ძალთა განლაგებაში არსებითი ხასიათის ცვლილება არ შეუტანია, სოციალ-დემოკრატებმა მხოლოდ სამი ადგილი დაკარგეს).

საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა 1919 წ. 12 მარტს გაიხსნა ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში, რომელიც ამ დღისათვის საგანგებოდ გადააკეთეს.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ხოლო მის უფროს ამხანაგად (მოადგილედ) ალექსანდრე ლომთათიძე (ორივე სოც. დემოკრატიული პარტიის წევრი). თავმჯდომარის ამხანაგებად არჩეულ იქნენ ექვთიმე თაყაიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი) და სიმონ მდივანი (სოციალ-ფედერალისტი). კრებამ აირჩია 4 კომისია: სარედაქციო, სარეგლამენტო, საკონსტიტუციო და საფინანსო-საბიუჯეტო.

დამფუძნებელი კრების პირველივე სხდომამ მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომელსაც ხელი მოაწერა კრების ყველა დამსწრე დეპუტატმა. ეს ისტორიული მომენტი ფირზე აღბეჭდა კინორეჟისორმა გერმანე გოგიტიძემ („სახალხო საქმე“, 1919 წ., 22 ივნისი).

1919 წ. 21 მარტს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი კაბინეტი: მთავრობის თავმჯდომარე — ნოე ჟორდანია, საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი — ევგენი გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა, სახალხო განათლებისა და სამხედრო მინისტრი — ნოე რამიშვილი, მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი — ნოე ხომერიკი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი —

კონსტანტინე კანდელაკი (ყველა მინისტრი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი იყო). ამგვარად, შედგა წმინდა და ერთპარტიული მთავრობა. შემდეგში რამდენიმე სამინისტრო ცალკე გამოეყო, მაგრამ ახალი მინისტრებიც სოციალ-დემოკრატთა წრიდან შეირჩა. სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა (ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები), რომელთაც დამფუძნებელ კრებაში თავიანთი დეპუტატები ჰყავდათ, საპარლამენტო ოპოზიცია შეადგინეს.

საქართველოს დამფუძნებელი კრება შეუდგა საკანონმდებლო მუშაობას ახალი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს დასამკვიდრებლად.

დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ. 27 მაისს მიიღო კანონი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებით ფასეული იყო სახელმწიფოს უზენაესი კანონის — კონსტიტუციის შემუშავება და მიღება. კონსტიტუციის პროექტი მოამზადა საკონსტიტუციო კომისიამ სოციალ-დემოკრატ პავლე საყვარელიძის თავმჯდომარეობით. კომისია 15 წევრისგან შედგებოდა და მასში დამფუძნებელ კრებაში გაერთიანებული ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი მონაწილეობდა. პროექტი ერთი წლის განმავლობაში მუშავდებოდა, შემდეგ იგი დაისტამბა და დეპუტატებს დაურიგდათ. განხილვა 1920 წ. 14 ივნისს დაიწყო და რამდენიმე თვეს გაგრძელდა.

1921 წ. 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა პირველი ეროვნული კონსტიტუცია, რომლითაც საქართველო თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ სახელმწიფოდ— დემოკრატიულ რესპუბლიკად ცხადდებოდა. სახელმწიფო დროშად დამტკიცებულ იქნა შვინდისფერი დროშა შავ-თეთრი ზოლით, სახელმწიფო გერბად — ცხენოსანი თეთრი გიორგი, შვიდი მნათობითურთ.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მოქმედება ხანგრძლივი არ ყოფილა (დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში გამგზავრების წინ დამფუძნებელმა კრებამ მისი მოქმედება შეაჩერა), კონსტიტუციას მაინც ფასდა-

უდებელი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც დიდმნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთობას რუსეთთან და მის ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან.

მართალია, ბოლშევიკები აღიარებდნენ ერთა თვითგამორკვევის იდეას სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, მაგრამ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ მათაც რუსეთის მთლიანობა ისევე ხელშეუხებლად მიიჩნიეს, როგორც ეს ხელმწიფე-იმპერატორსა და დროებით მთავრობას მიაჩნდათ. ამიტომ რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება უკმაყოფილოდ შეხვდა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფას. ცხადია, ცენტრს არც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გახარებია, მაგრამ წყენა ოფიციალურად არ გამოუხატავს. ეს ერთი გარემოებით უნდა აიხსნას: ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღიდანვე რუსეთში სამოქალაქო ომმა იფეთქა და იმავდროულად დაიწყო უცხოეთის სამხედრო ინტერვენცია. ბოლშევიკებს ჯერ თავისი გასჭირვებოდათ, — უპირველეს ამოცანად რევოლუციური ხელისუფლების შენარჩუნება გამხდარიყო, — რის გამოც ახალი სახელმწიფოს მესვეურთ განაპირა მხარეებისთვის სათანადოდ ვერ მოეცალათ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათ ამიერკავკასია თავისად ეგულებოდათ და მეპატრონის თვალითაც უყურებდნენ. სხვას რას უნდა ნიშნავდეს სახკომსაბჭოს 1917 წ. 16 დეკემბრის დადგენილება, რომლის თანახმად ს. შაუმიანი კავკასიის საქმეთა დროებით და საგანგებო კომისრად დაინიშნა? ს. შაუმიანის სახელზე გაცემულ რწმუნებაში, რომელიც ვ. ულიანოვ-ლენინის ხელმოწერით იყო დადასტურებული, ვკითხულობთ: „ამ მანდატის წარმომდგენელი... სტეფანე შაუმიანი, დანიშნულია კომისრად კავკასიაში საბჭოების სამხარეო ხელისუფლების შექმნამდე“. საგანგებო კომისარს სახკომსაბჭოს ფონდიდან 2 მილიონი მანეთი გადასცეს და შესაბამისი დირექტივებით კავკასიაში გამოგზავნეს (ნ. ჟორდანია შაუმიანს „ლენინის ნამესტნიკს“ უწოდებდა).

რუსეთის რთული შინავითარება მოსკოვს ჯერ-ჯერობით ხელ-ფეხს უბორკავდა საქართველოში აქტიური მოქმედებისათვის. სიტყვა ჯერ დიპლომატიას ეკუთვნოდა. 1918 წ. 24 მაისს ლენინი ბაქოში მყოფ ს. შაუმიანს სწერდა: „გირჩევთ

სცადოთ ბლოკი ერდანიასთან. თუ შეუძლებელია, საჭიროა ლავირება და გადაწყვეტილების **გაჭიანურება**, სანამ არ განმტკიცდებით სამხედრო თვალსაზრისით. საღი გათვალისწინება და დიპლომატია გაჭიანურებისათვის — გახსოვდეთ ეს!" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 44, გვ. 57). მართალია, ეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრინდელი დირექტივაა, მაგრამ მისი მოქმედების ვადა უნდა გაგრძელებულიყო მანამ, სანამ რუსეთი „არ განმტკიცდებოდა სამხედრო თვალსაზრისით".

1918 წლის 26 მაისის აქტს საბჭოთა რუსეთი მტრულად არ შეხვედრია, მაგრამ მან მაშინ არ ცნო დამოუკიდებელი საქართველო. საინტერესოა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა აზრი ამ საკითხზე. საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მოსკოვში დიპლომატიურ წარმომადგენლად დანიშნული გ. ხუნდაძე გადმოგვცემს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სახკომის მოადგილემ, ლ. კარახანმა, პირდაპირ განაცხადა: „სახალხო კომისართა საბჭო არა ცნობს არც საქართველოს დამოუკიდებლობას, არც მის დიპლომატიურ წარმომადგენლობას და არც მის მთავრობას, რადგან ეგ თქვენი „მთავრობა" მხოლოდ აჯანყებულთა ხროვაა რუსეთის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგო". კარახანს არც რიკოვი ჩამორჩა, მან ქართველ დიპლომატს მოურიდებლად და ერთბაშად მიახალა: „მე მომხრე ვარ საქართველოს კონტრრევოლუციური მთავრობის შეიარაღებული განადგურებისა და ყოველნაირად ვეცდები, არასოდეს არ იქნეს განხილული საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი სახალხო კომისართა საბჭოში" (გ. ხუნდაძე, საბჭოთა ხელისუფლება და ქართული საელჩო რუსეთში, თბ., 1920, გვ. 20, 27, რუსულ ენაზე).

ი. სტალინი აღნიშნავდა: „გერმანელთა მიერ ცნობილ საქართველოს დამოუკიდებლობას ჩვენ ვერ ვიცნობთო". ეს სიტყვები ამოღებულია სტალინის წერილიდან ს. შაუმიანისადმი, რომელიც ასე ბოლოვდება: „...ნათქვამი მიიღე არა როგორც ჩემი პირადი აზრი, არამედ როგორც წინადადება ლენინისა, რომელსაც... აღნიშნული საკითხის თაობაზე გუშინ ვესაუბრე პირდაპირი მავთულით". სტალინი მართალს ამბობდა, რადგან ზუსტად ასეთი იყო ლენინის აზრი: „საქართვე-

ლოს... დამოუკიდებლობა... სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 8).

1918 წ. 6 ივნისს ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრის მოადგილე ე. პესტოვსკიმ ლენინს აცნობა, რომ საქართველოდან მასთან ჩამოვიდა რუს გლეხთა 8-კაციანი დელეგაცია. „გლეხი ბერიკაცები“ აღუთქვამდნენ მოსკოვს, რომ მზადა ვართ დავამხოთ ჟორდანიას მთავრობა, ოღონდ დაგვეხმარეთ ფულით, იარაღითა და სამხედრო ძალითო. ლენინმა უპასუხა, რომ ამ გლეხებთან საქმის დაჭერა არა ღირს: „ქართველ მენშევიკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ არ შეგვიძლია ამ ელემენტებს დავეყრდნოთ. ეს იქნებოდა პოლიტიკური შეცდომაო“ („ბორბა კლასოვ“, 1934 წ., № 1, გვ. 135).

არავინ იცის, ვისი სახელითა და დავალებით ჩავიდნენ რუსი გლეხები საქართველოდან მოსკოვში. ეს მისია, როგორც ვნახეთ, უშედეგოდ დამთავრდა. მათ დახმარებაზე უარი უთხრეს. მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს დახმარება დამოუკიდებელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა იქნებოდა, რაც საბჭოთა ხელისუფლების მიერ დეკლარირებული მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, არამედ იმიტომ, რომ ის გლეხები საბჭოთა რუსეთისათვის საქართველოში საიმედო დასაყრდენს არ წარმოადგენდნენ.

„განწყობილება ამიერკავკასიაში ნაღვლიანია, მოსახლეობა მოელის ხსნას ბოლშევიკებისაგან“, — აგულიანებდა ცენტრს სერგო ორჯონიკიძე.

1918 წ. შემოდგომიდან, მას შემდეგ, რაც ს. შაუმიანი სხვა ბაქოელ კომისრებთან ერთად ინგლისელებმა დახვრიტეს, საბჭოთა ხელისუფლების სრულუფლებიან წარმომადგენლად კავკასიაში მოგვევლინა ს. ორჯონიკიძე, რომელიც სამხრეთის საგანგებო კომისრად დაინიშნა. იგი აღჭურვილი იყო დიდი უფლებებით და სარგებლობდა ვ. ლენინისა და ი. სტალინის განსაკუთრებული ნდობით. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება ლენინის სიტყვები: „ვფიქრობ, სერგოს (ორჯონიკიძეს) ტყუილი არ შეუძლია“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 44, გვ. 589). შეეძლო თუ არა სერგოს ტყუილი და მიმართავდა თუ არა მას, საერთოდ, ამას ცოტა ქვემოთ ვნახავთ. ახლა კი იმას ად-

ვნიშნავ, რომ საგანგებო კომისრის რანგში ს. ორჯონიკიძის ერთ-ერთი პირველი დეპეშა კავკასიიდან ვ. ლენინისადმი, — მოსახლეობა ხსნას ბოლშევიკებისაგან მოელისო, — ეცნობადებს. უაღრესად მრავალეროვან და სარწმუნოების მხრივ არაერთგვაროვან კავკასიაში, სადაც სხვადასხვა ერები და ხალხები საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობითაც დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მტკიცება იმისა, რომ მოსახლეობა ხსნას მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკებისაგან მოელისო, — ყოველ შემთხვევაში იმ კაცისაგან, ვისაც „ტყუილი არ შეუძლია", მეტი არ იყოს, არასერიოზული ჩანს.

ცენტრი ცდილობს, აღადგინოს კავშირი ამიერკავკასიის რევოლუციურ ძალებთან. ეს მისია ვ. ლენინის წინადადებით დაეკისრა ს. კიროვს, რომელიც 1919 წ. თებერვალში ასტრახანის რევკომის თავმჯდომარე გახდა. მაშინ ასტრახანი იყო ერთადერთი პუნქტი, რომლითაც საქართველოს ბოლშევიკები სადირექტივო მითითებების მისაღებად მოსკოვს უკავშირდებოდნენ. მოსკოვის მითითების შესაბამისად, პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა თავის სამოქმედო მიზნად დაისახა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებულ ეროვნულ სახელმწიფოთა მთავრობების დამხობა, სანაცვლოდ კი საბჭოთა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების შექმნა და მათი ნებაყოფლობითი გაერთიანების მიღწევა რსფსრ-სთან. ამავე დროს, კომიტეტი უცდიდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ზუსტ მითითებას აჯანყების მოწყობის დროისა და ადგილის შესახებ. „პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იცის მდგომარეობა ფრონტებზე, ჩვენ კი გვინდოდა აჯანყება დაგვემთხვია... წითელი არმიის მოახლოების მომენტისათვისო,— აღიარებს ა. მიქოიანი, — იმხანად პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი (ა. მიქოიანი, ბრძოლის გზით, წიგნი I, მ. 1971, გვ. 541, რუსულ ენაზე).

1919 წ. ნოემბერში ა. მიქოიანი მოსკოვში ჩავიდა და შეხვდა ვ. ლენინს. რევოლუციის ბევრი სხვა საკითხებთან ერთად იმითაც დაინტერესდა, თუ როგორ ახორციელებენ დემოკრატიას ქართველი მენშევიკები. მიქოიანმა მოახსენა, რომ მენშევიკურ საქართველოში დემოკრატიის სიოც კი არა ქრის, პირიქით, იქ მკაცრად ახშობენ გლეხთა გამოსვლებს, აპატიმრებენ და ციხეში სვამენ ბოლშევიკებს და სხვა ამგვარიო.

მოსმენილს ვ. ლენინმა ასეთი რეზიუმე გაუკეთა: „კარგად ვიცნობ მე მაგ მენშევიკებს! მათგან სხვას არც უნდა მოელოდეო“ (ა. მიქოიანი, დასახ. წიგნი, გვ. 540).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ქართველ მენშევიკებზე ვ. ლენინის ასეთი შეხედულებებისა და იმ ურთიერთშეურაცხმყოფელი ეპითეტებისა, თავ-თავიანთი პარტიული პრესის ფურცლებზე ბოლშევიკები და ქართველი სოციალ-დემოკრატები ერთმანეთს რომ ამკობდნენ, 1920 წ. დასაწყისში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს მთავრობას დენიკინის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისათვის სამხედრო კავშირის დადება შესთავაზა. ეს კავშირი არ შედგა, რადგან მან საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა ვერ პოვა. ამასთან დაკავშირებით, 1920 წ. 2 თებერვალს ვ. ლენინმა სრულიად რუსეთის ცაკის სესიაზე განაცხადა: „საქართველოსა და აზერბაიჯანს წინადადება მივეცით, დაედოთ შეთანხმება დენიკინის წინააღმდეგ. მათ უარი თქვეს და ის მოიმიზეზეს, რომ ისინი სხვა სახელმწიფოების საქმეებში არ ერევიან. ჩვენ დავინახავთ, როგორ შეხედავენ ამას საქართველოსა და აზერბაიჯანის მუშები და გლეხები“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 388).

ვ. ლენინის ეს გამოსვლა განაწყენებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს და რატომღაც მუქარის ტონსაც შეიცავს („ჩვენ დავინახავთ!“..).. გლეხების არ ვიცი, მაგრამ შეგნებული მუშები კი უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ ამ მუქარას არავითარი საფუძველი არ გააჩნდა, რადგან ნეიტრალურ ქვეყანას სხვა სახელმწიფოთა ომში ჩაურევლობისათვის არ ემუქრებიან.

ახლა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა რამდენადმე საერთაშორისო ჭრილში განვიხილოთ. გავიხსენოთ, რომ გასული საუკუნის შუა ხანებში კ. მარქსმა წამოაყენა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეა.

მიუხედავად იმისა, რომ 1915-1916 წლებში ვ. ლენინმა შექმნა ახალი ფორმულა რამდენიმე ან ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, ბოლშევიკებს არასოდეს უთქვამთ უარი მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივაზე. ნიშანდობლივია, რომ ოქტომბრის გადატრიალების პირველსავე დღეს პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე თავისი გამოსვლა ლენინმა დაამთავრა მოწოდებით: „გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!“

1918 წ. ნოემბერში ლენინი პირდაპირ აცხადებს — ჩვენ არ შევმცდარვართ, როცა გეზი ავიღეთ საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციაზე. „უდიდესი მსხვერპლი... ტყუილად არ გაგვიღია... საერთაშორისო რევოლუცია ახლოსაა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 183, 188); ხოლო 1919 წ. აპრილში კიდევ უფრო აკონკრეტებს: „ახლა მხოლოდ რამდენიმე თვე გვაშორებს ჩვენ მთელ მსოფლიოში კაპიტალისტებზე გამარჯვებისაგან“ (იქვე, ტ. 29, გვ. 347); „შეიძლება სრული რწმენით ითქვას ყველას გასაგონად, რომ ჩვენი გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფილია... მალე დავინახავთ საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკის წარმოშობას“ (იქვე, ტ. 29, გვ. 87-88).

აზრი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის შესაძლებლობისა და აუცილებლობის შესახებ ლენინს არც შემდგომ წლებში შესცვლია. ეს სულისკვეთება ნათლად ჩანს 1922 წ. 30 დეკემბრის დეკლარაციაში საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ. მასში ჩაწერილია: „...ახალი საკავშირო სახელმწიფო იქნება... ერთგული დარაჯი მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ახალი გაბედული ნაბიჯი ყველა ქვეყნის მშრომელთა ერთ მსოფლიო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებში გაერთიანებისაკენ“) („კომუნისტი“, 1923, 10 იანვარი. პარადოქსია, მაგრამ ეს დეკლარაცია უცვლელი სახით დღესაც ძალაშია!).

ალბათ, დავრწმუნდით, რომ ბოლშევიკებს ჩაფიქრებული აქვთ მსოფლიო სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების შექმნა. ამ მასშტაბური მიზნის განხორციელებაში, ცხადია, გარკვეული როლი აქვს დაკისრებული საქართველოსაც. 1921 წელს ერთგან ლენინს მოჰყავს საინტერესო გაანგარიშება და აღნიშნავს, რომ თუ ახლა საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო გამარჯვება 20—30%-ს შეადგენს, პოლონეთში რევოლუციის გამარჯვებით იგი 40—50%-მდე, მეტიც — 51%-მდე გაიზრდება, რადგან პოლონეთი მდებარეობს გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის „ა უნგრეთის გვერდით (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 44, გვ. 181, რუსულ ენაზე). თუ ანალოგიურ გაანგარიშებას საქართველოზეც გადმოვიტანთ, მისი წვლილი საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვებაში სულ მცირე 10-15% მაინც იქნება, რადგან საქართველო მდებარეობს თურქეთისა და

სპარსეთის გვერდით, ხოლო აღმოსავლეთი მსოფლიო კომუ-
ნისტური რევოლუციის „სასიცოცხლო ძარღვია“.

ეს მსჯელობა თავისუფალი ფანტაზიის ნაყოფად რომ არ
მოგეჩვენოთ, დავიმოწმებ რსფსრ ცაკის თავმჯდომარის მ. კა-
ლინინის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა 1920 წ. თებერ-
ვლის ერთ-ერთ სხდომაზე. ახასიათებდა რა თანამედროვე მო-
მენტს, კალინინმა პირდაპირ მიუთითა: „თბილისმა უნდა ითა-
მაშოს მოსკოვის როლი აღმოსავლეთში, ის უნდა გადაიქცეს
მეორე მოსკოვადო“ („ერთობა“, 1920 წ., 30 აპრილი).

მაშ, საქართველო ბოლშევიკთა პოლიტიკური თვალსაზრი-
სით მოქცეულია საერთაშორისო პროლეტარული რევოლუცი-
ის ორბიტაში. საბჭოთა რუსეთს საქართველოში ეკონომიკური
ინტერესიც საკმაოდ გააჩნია და არც მალავს, რომ „ბაქო
უბათუმოდ არაფერია“.

ამგვარ მიზანდასახულობათა ფონზე გულუბრყვილობაა
მსჯელობა, რომ საქართველოსადმი დამოკიდებულების საკით-
ხზე საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა შორის სხვადასხვა
აზრი არსებობდა და ლენინი დამოუკიდებელ საქართველოს-
თან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებისა და
განმტკიცებისათვის ზრუნავდა. ლენინი მართლაც მოით-
ხოვდა და ცდილობდა კიდეც, საქართველოსთან ურთიერთო-
ბაში დაეცვა სამშვიდობო პოლიტიკა, მაგრამ მხოლოდ გარკ-
ვეულ დრომდე და შესაფერის მომენტამდე, თორემ საქარ-
თველოს დამოუკიდებლობისათვის მსჯავრი მას უკვე წინას-
წარ ჰქონდა გამოტანილი და ეს ხელმძღვანელ ბოლშევიკურ
წრეებში კარგად იყო ცნობილი.

ამოცანის პირობა იმთავითვე ნათელი იყო, — იგი საქარ-
თველოს გასაბჭოებას გულისხმობდა. საქმე შეეხებოდა იმას,
თუ რა გზით და დროის რა მონაკვეთში მოხდებოდა ეს. სხვაგ-
ვარად, — სტრატეგია განსაზღვრული იყო, ასარჩევი რჩებოდა
ტაქტიკა. არჩევანი კი მხოლოდ ორგვარი შეიძლებოდა ყოფი-
ლიყო: 1. საქართველოს გასაბჭოება და შემოერთება ძალით
და 2. საქართველოს გასაბჭოება და შემოერთება მშვიდობი-
ანი გზით. ცენტრში საგანგებოდ შემუშავებულ ორივე ამ ვა-
რიანტს ავტორი (რეჟისორი) ერთი ჰყავდა, შერჩეული იყ-
ვნენ მოქმედი პირნი და შემსრულებლებიც, და ახლა დრო და
ვითარება წარმოაჩენდა, რომელ მათგანს მიენიჭებოდა უპი-

რატესობა, რომელი უფრო ხელსაყრელი და მომგებიანი იქ-
ნებოდა.

თუ ლენინი გარეგნულად მაინც მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში შინა პიროებების შემზადებას (ასე ვთქვათ, „რევოლუციური სიტუაციის მომწიფებას") და საერთაშორისო ვითარებასაც ანგარიშს უწევდა, მეორე მიმართულების მომხრენი — უპირველესად ქართველი ბოლშევიკები — მზად იყვნენ, დაუყოვნებლივ მოეხდინათ საქართველოს გასაბჭოება წითელი არმიის ნაწილებზე დაყრდნობით.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის წევრთა ერთმა ნაწილმა ჯერ კიდევ 1917 წ. ნოემბერში განიზრახა კავკასიის არმიის გამოყენებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მაგრამ ეს განზრახვა უარყოფილ იქნა. ხანგრძლივი ომისაგან ქანცგაწყვეტილ ჯარისკაცებს შინ მიეჩქარებოდათ და არავინ იცოდა, იბრძოლებდნენ თუ არა ისინი საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. ამ შიშის გამო, როგორც ფ. მახარაძე წერდა, არმიის გამოყენებამ დაკარგა მნიშვნელობა (ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, თბ., 1927 წ., გვ. 104).

გასაგები უნდა იყოს, რომ ფ. მახარაძე აქ ლაპარაკობს არა რევოლუციურ არმიაზე, არამედ ჯარის იმ ნაწილებზე, რომელმაც ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მიატოვა კავკასიის ფრონტი და ფაქტიურად დაკარგა სამხედრო არმიის სახე. რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენს — რუსეთის წითელ არმიას, — ქართველ ბოლშევიკთათვის იგი კვლავ რჩებოდა ერთადერთ იმედად საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს რევოლუციური ძალების ფლანგი განმათავისუფლებელი ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის მტკიცე იყო და თუ არ მოწინავეობდა, არც არასდროს მოქცეულა არიერგარდში. ამ გარემოებამ ქართველ რევოლუციონერებს სახელი გაუთქვა და ცენტრის თვალში ავტორიტეტიც შესძინა. ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ არა ერთი მათგანი რუსეთში ხელმძღვანელ თანამდებობაზე აღმოჩნდა. ლენინისა და რევოლუციური იდეალებისადმი ფანატიკურად ერთგულმა ქართველმა ბოლშე-

ვიკებმა მაღალი თანამდებობები კარგად შეიფერეს, მაგრამ მაინც გრძნობდნენ გარკვეულ უხერხულობას იმის გამო, რომ საკუთარი მხარე (არ ვამბობ სამშობლოს, რადგან მათთვის უცხო იყო „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი") ჯერაც ვერ გაეწითლებინათ. პირველ რიგში ამით უნდა აიხსნას მათი მოუთმენლობა და სწრაფვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაუყოვნებლივ დასამყარებლად. რა არ სცადეს, — აჯანყებები აფხაზეთსა და ჯავის ხეობაში, თავდასხმა თბილისის სამხედრო სკოლაზე და სხვ., მაგრამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ჩამოგდება ვერ მოახერხეს.

ქართველ ბოლშევიკთათვის თავზარდამცემი გამოდგა გაგება იმისა, რომ საბჭოთა რუსეთს დამოუკიდებელ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება გადაუწყვეტია.

მართლაც, 1920 წლის გაზაფხულზე შექმნილი ვითარება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებსაც უბიძგებდა, რუსეთთან დაახლოების გზები ეძიათ. თავის მოგონებებში ნ. ჟორდანია წერდა: „ევროპიდან არაფერი სანუგეშო მოგვდიოდა. ვერსალის კონფერენცია გათავდა, ჩვენ კი დავრჩით უცნობი... ცხადი გახდა საქმის ისევ რუსეთიდან დაწყების აუცილებლობა. ვიფიქრე, თუ მოსკოვმა გვიცნო, ჩვენი დამოუკიდებლობა დაადასტურა, ამ თამასუქით წარვდგებით ევროპის არეოპაგის წინაშე და ეს უეჭველად გასჭრის. გადავწყვიტე... მოსკოვში კაცის გაგზავნა (ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, გვ. 163-164).

სწორედ ამ დროს თბილისის ციხეში იჯდა ცნობილი რევოლუციონერი-ბოლშევიკი ა. კობახიძე-მირსკი. იგი ერთ-ერთი იყო იმ მრავალრიცხოვან აგენტთაგან, რომლებსაც მოსკოვი ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად გზავნიდა. როცა კობახიძე საქართველოში შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების უსაფუძვლობაში დარწმუნდა, გადაწყვიტა მეორე ვარიანტი, — იმავე მიზნის მიღწევის მშვიდობიანი გზა ეცადა. იგი დაუკავშირდა საქართველოს მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს, რომელიც ბიძად ერგებოდა და საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაში თანადგომა შესთავაზა („სახალხო განათლება", 1989, 24 მაისი, გვ. 9). კონკრეტულ მომენტში რუსე-

თისა და საქართველოს ხელისუფალთა ინტერესი ერთმანეთს დაემთხვა. საქმის მოგვარებას სასიკეთო პირი ეუჩანდა. ნ. ჟორდანიამ აღარ დააყოვნა და მოსკოვთან მოსალაპარაკებლად საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გ. ურატაძე გაგზავნა. მასთან ერთად გაემგზავრნენ საქართველოს სახალხო გვარდიის შტაბის წევრი დ. საღირაშვილი და ა. კობახიძე (ეს ის კობახიძეა, რომელსაც 1922 წლის შემოდგომაზე, თბილისში ყოფნისას, ს. ორჯონიკიძემ სილა გააწნა. ეს ფაქტი ფართოდ გახმაურდა და ლენინის ყურამდეც მიაღწია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სერგომ კობახიძეზე წყენა ჯერ კიდევ რუსეთთან ხელშეკრულების გამო ჩაიდო გულში).

1920 წ. 15 აპრილს დელეგაცია როსტოვში ჩავიდა. „ეს ესაა როსტოვს ჩამოვიდა ლონჟიუმოს პარტიული სკოლის ყოფილი მოწაფე... მენშევიკი გრიშა ურატაძე... მისთვის გეგეჭკორს კარტ-ბლანში მიუცია. სურს გამოემგზავროს მოსკოვში თქვენთან. ვფიქრობ არაფრის მაქნისია ეს“, — აცნობა ორჯონიკიძემ ლენინს იმ იმედით, რომ მოსალოდნელ მოლაპარაკებას ჩაშლიდა. მაგრამ ლენინმა საკითხს უფრო ფართო პლანში შეხედა და ორჯონიკიძეს შეატყობინა: მთავრობა ურატაძის მოსკოვში ჩამოსვლის წინააღმდეგი არ არის, თუმცა მის გამომგზავრებას ნუ იჩქარებთ და გამომგზავრების დღე თქვენი შეხედულებისამებრ დანიშნეთო (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 51, გვ. 178, რუსულ ენაზე).

„ურატაძეს გამოვგზავნი როსტოვიდან, მაგრამ გთხოვთ ზავის დადების მხრივ მასთან ნუ აჩქარდებით, გამოირკვა რომ საქართველო მზად არის გაყიდოს აზერბაიჯანი“, — უპასუხა სერგომ ლენინს. 1919 წლიდან აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არსებობდა სამხედრო კავშირი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მტრის წინააღმდეგ ორივე სახელმწიფოს ერთობლივად უნდა ებრძოლა. როგორც ჩანს, ორჯონიკიძემ იცოდა ნ. ჟორდანიას განწყობილება — „თუ აზერბაიჯანი გარეშე ძალას შეხვდა უბრძოლველად, ჩვენ არ გვაქვს უფლება შევებრძოლოთ მას, ვინც აზერბაიჯანმა მიიღო“.

ეს ის პერიოდია, როდესაც მოსკოვი ამზადებს „ბაქოს ოპერაციას“. პარალელურად მიმდინარეობს სამზადისი საქართველოს საკითხის გადასაწყვეტი ზემოაღნიშნული ორივე ვარიანტის ხოცშესასხმელად. მაგრამ საქართველოში შემოსვ-

ლამდე საჭიროა აზერბაიჯანის გასაბჭოება. ახლა მთელი ყურადღება აქეთკენაა გადატანილი. „ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ“, — ავალებს ლენინი ორჯონიკიძეს (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 470). აზერბაიჯანში ფეხის მტკიცედ მოკიდების შემდეგ საქართველოს გაწითლება შედარებით გაადვილდება, ამიტომ უფრო შესაძლებელია პირველი ვარიანტი გათამაშდეს (საქართველოს გასაბჭოება სამხედრო ძალის გამოყენებით). მართალია, იმ პერიოდის დოკუმენტებში არ არის ცენტრის ამგვარი მითითება, მაგრამ თუ ყურადღებით წავიკითხავთ სტალინის დეპეშას ს. ორჯონიკიძისადმი, ამ მექანიზმს იოლად ავხსნით. 1920 წ. 3 დეკემბერს სტალინი ს. ორჯონიკიძეს წერდა: **„ჯარების შეყვანა უნდა მოხდეს ფრონტის, ან არმიის განკარგულებით და ან ფრონტის ან არმიის სახელით, მაგრამ არა მთავრობის სახელით, დაიცავი დიდი სიფრთხილე“** („თბილისი“, 1990 წ., 24 თებერვალი ხაზი ჩემია, — ო. ჯ.). პირველი ვარიანტი უფრო მომწიფებული ჩანს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ლენინის წინადადება, — „ურატაძის გამოგზავნას ნუ იჩქარებთო“.

მალე მდგომარეობა ელვის სისწრაფით შეიცვალა: პოლონელებმა საბჭოთა ქვეყნის სიღრმეში წარმატებით შეტევა განავითარეს და კიევი დაიკავეს, ყირიმში დაბანაკებული ვრანგელი პოლონელთა მისაშველებლად დაიძრა. ამდენ ფრონტზე ერთდროულად ომის წარმოება რუსეთს არ შეეძლო. ამიტომ ცენტრმა საქართველოს საკითხის იარაღით გადაწყვეტის გზაზე ამჯერად ხელი აიღო და გ. ურატაძე სასწრაფოდ მოსკოვს მიიწვია.

ამასობაში (27-28 აპრილს) XI არმიამ ბაქო აიღო და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ეს იმდენად უმტკივნეულოდ მოხდა, რომ ორჯონიკიძე აღარ შეჩერებულა და წითელი არმიის ნაწილები საქართველოსკენ დაძრა, იმავდროულად მოსკოვში დეპეშები აფრინა, რამდენიმე დღეში თბილისში ვიქნები, „ყველაფერი ბრწყინვალედ გამოვაო“. 30 აპრილს სერგომ ლენინს კიდევ ერთხელ შეახსენა — „ურატაძესთან ნუ იჩქარებთო“ („ლენინსკი სბორნიკ“, ტ. XXXIV, გვ. 292). საპასუხოდ, 5 მაისს, ორჯონიკიძემ ლენინისა და სტალინის ხელმოწერით ასეთი დეპეშა მიიღო: „ცენ-

ტრალური კომიტეტი გავალებთ გამოიყვანოთ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან.

თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ცხადია, რომ საქართველოსთან ზავი გამორიცხული არ არის" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 474).

ზავი ნამდვილად არ იყო გამორიცხული, რადგან საქართველოს მხარე თანახმა იყო რიგ დათმობებზე, თუ მოსკოვი აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და საზღვრებს (ნ. ჟორდანია, დასახ. წიგნი გვ. 165).

მოლაპარაკება 28 აპრილს დაიწყო („კომუნისტი", 1989 წ., 8 ივნისი). მას ოფიციალურად აწარმოებდნენ გ. ურატაძე და ლ. კარახანი, რომლებსაც თავიანთი მთავრობებისაგან სათანადო რწმუნებები ჰქონდათ მინიჭებული. გ. ურატაძეს, ე. გეგეჭკორის კარტ-ბლანში ჰქონდა, ხოლო ლ. კარახანის რწმუნებულებას ხელს აწერდნენ ვ. ულიანოვ-ლენინი და გ. ჩიჩერინი.

გ. ურატაძე არ ყოფილა პროფესიონალი დიპლომატი. მისი შერჩევა მოსკოვთან მოლაპარაკებისათვის, ნ. ჟორდანიას სიტყვით, იმან განაპირობა, რომ „დესპანი უნდა ყოფილიყო ლენინის და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი". ცხადია, ამგვარ „სპეციალისტს" გაუჭირდებოდა დიპლომატიის რთულ ლაბირინთებში გარკვევა, მით უფრო, რომ მეორე მხრიდან მოლაპარაკებაში ფაქტიურად რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მთელი პოლიტბიურო მონაწილეობდა. საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, რომ პოლიტბიუროს წევრები დეტალურად იხილავდნენ მოლაპარაკების მსვლელობისას წამოჭრილ ცალკეულ საკითხებს და შესაბამის მითითებებს აძლევდნენ ლ. კარახანს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, სწორი არ იქნება მთელი პასუხისმგებლობა 7 მაისის ხელშეკრულების ავ-კარგისათვის მხოლოდ გ. ურატაძეს დავაკისროთ. ცნობილია, რომ მან მოლაპარაკების შინაარსი და შეთანხმების პროექტის ტექსტი მოსკოვიდან გააცნო ნ. ჟორდანიას, რომლისგანაც მიიღო ხელისმოწერის თანხმობა.

გ. ურატაძე იგონებს, რომ „ხელშეკრულების ტექსტის შედგენა ადვილად მოხერხდა. არც საზღვრების საკითხს

გამოუწვევია დიდი დავა". ეს არ უნდა იყოს გასაკვირი. რუსეთი ცდილობს, სწრაფად დაასრულოს მოლაპარაკება საქართველოსთან, რადგან მდგომარეობა ისეთია, შეიძლება ყველაფერი დიამეტრულად შეიცვალოს. ამიტომ უხსნიდნენ ი. სტალინი და ა. ენუქიძე პირდაპირი მავთულით საუბრისას ს. ორჯონიკიძეს: — „...ჩვენი ნაწილებისა და აგრეთვე აზერბაიჯანის ნაწილების ზოგიერთი გამოსვლა რომ არ გვირევდეს კარტს და არ გვიშლიდეს ჩვენი პოლიტიკის გატარებას, ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილი იქნებოდა... როგორც ჩვენი, ისე აზერბაიჯანის ნაწილების მხრივ საქართველოს წინააღმდეგ შეტევითი მოქმედება არ იქნება და ჩვენ ხვალვე დავდებთ ხელშეკრულებას საქართველოსთან" (ა. ირემაძე, განთიადის სათავეებთან, თბ., 1984, გვ. 237).

ს. ორჯონიკიძე დამორჩილდა. ან კი რა უნდა ექნა, როცა ქართულმა ჯარმა გენერალ გ. კვინიტაძის სარდლობით დაამარცხა და უკუაქცია ჩვენს საზღვრებში შემოჭრილი წითელი არმიის ნაწილები.

მიუხედავად უშედეგო ცდისა, ს. ორჯონიკიძემ იხტიბარი არ გაიტეხა და ახლა სხვა გზა მოსინჯა. მან ს. კიროვთან ერთად ლენინს წერილი გაუგზავნა, რომელშიც მიუთითებდა: „ჩვენი აზრით, საქართველოსთან ზავის პირობად უნდა იყოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების უთუო გამოცხადების მოთხოვნა. ჩვენი მონაცემებით, მენშევიკები მზად არიან ამაზე დათანხმდნენ, მხოლოდ ივაჭრებენ შეუპოვრადო". ეს აშკარა ავანტიურა იყო. ამიტომ ცენტრი არ წავიდა მასზე. ლ. კარახანი ს. ორჯონიკიძეს განუმარტავდა. „ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, რომ ინგლისელები ბათუმიდან თვითონ ბურჟუაზიულმა საქართველომ გარეკოს, ვიდრე ჩვენი ჯარები შევიყვანოთ ბათუმში და ჩავებათ ინგლისთან ომში. საქართველო ჩვენ გვჭირდება დროებით ბუფერად, რადგან საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი უკვე ვეღარ გამოგვადგება ამ როლისათვისო" თავის მხრივ სტალინმაც დაამშვიდა ორჯონიკიძე: „ვითარება ისეთია, რომ... ახლა საქართველოს მიმართ აჩქარების — მისი საბჭოურად გარდაქმნის აზრით — მომხრე ჩვენ არა ვართ. სულ ერთია, რამდენიმე თვის შემდეგ, თუ კომუნისტები ლეგალიზებული იქნებიან,

იგი (საქართველო, — ო. ჯ.) ისედაც საბჭოთა რესპუბლიკა გახდება, მას სხვა გზა არა აქვს“ (იქვე, გვ. 239).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 მაისს გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც რატიფიკაციის გარეშე, „თვით ფაქტის ძალით“ შედიოდა ძალაში. ხელშეკრულებით რუსეთმა უარი თქვა საქართველოს მიმართ ოდინდელ უფლებებზე და ყოველი პირობის გარეშე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

აღვნიშნავ ხელშეკრულების რამდენიმე მუხლს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა: მუხლი VI. „რუსეთი ვალდებულია, არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედებისა არავითარ ჯგუფსა და ორგანიზაციას, რომლებიც საქართველოს მთავრობის, ანუ მისი ნაწილის მთავრობის როლს მიითვისებენ, და აგრეთვე იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნად საქართველოს მთავრობის დამხობა ექნება დასახული. რუსეთი ვალდებულია, იქონიოს სავსებით თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათს ტერიტორიაზე არ დაუშვან არსებობა ამ მუხლში აღნიშნული ჯგუფებისა და ორგანიზაციებისა“. მუხლი X. „საქართველო ვალდებულია, გაათავისუფლოს სასჯელისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით დევნისაგან ყველა პირები, რომლებიც იდევნებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის“.

ხელშეკრულება შეიცავდა საიდუმლო დამატებას, რომლის თანახმად, საქართველო ვალდებული იყო თავის ტერიტორიაზე თავისუფალი არსებობისა და საქმიანობის, მათ შორის, ბეჭდვითი ორგანოების გამოცემის უფლებაც კი მიეცა ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის.

რუსეთმა და საქართველომ ელჩები გაცვალეს. რსფსრ სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში ს. კიროვი დაინიშნა, ხოლო საქართველოს მთავრობამ თავისი წარმომადგენლობა მოსკოვში დამფუძნებელი კრების წევრს, სოციალდემოკრატ გერასიმე მახარაძეს მიანდო.

მოსკოვიდან გამომგზავრების წინ ს. კიროვმა პირადად ვ. ი. ლენინისაგან მიიღო დირექტივა საქართველოში მუშა-

ობის შესახებ. 20 ივნისს ს. კიროვი თბილისში ჩამოვიდა. რუსეთის წარმომადგენლობა, რომელშიც 51 კაცი შედიოდა (მათ შორის მხოლოდ 6 — უმთავრესად ტექნიკური მუშაკი — იყო ქართველი), დაბინავდა ველიამინოვის ქუჩაზე (დღევანდელი ა. ჯაფარიძის ქუჩა № 4).

საბჭოთა წარმომადგენლის ჩამოსვლით განსაკუთრებით გაიხარეს საქართველოს კომუნისტებმა. მათ სახელდახელო მიტინგი გამართეს და ს. კიროვს გულთბილად მიესალმნენ. „სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. კიროვის ჩამოსვლას ატყვია ჩვეულებრივი ნიშნები დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლობის ჩამოსვლისა პატარა სახელმწიფოში", — ნაღვლიანად შენიშნავდა ქართველი სოციალ-დემოკრატების გაზეთის კორესპონდენტი („ერთობა", 1920 წ., 22 ივნისი), სოციალ-ფედერალისტთა გაზეთი კი ხაზგასმით მიუთითებდა: „ჩვენი კომუნისტები კიროვს ისე კი არ უყურებენ, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს, არამედ როგორც პარტიის დელეგატს, ცეკას წარმომადგენელს და შესჩივიან როგორც ბატონს.. ის კი ავიწყდებათ, რომ კიროვი უძლურია რამენაირად მალამო დასდოს მათ „ტკივილებს", რადგან ეს ჩვენი შინაურული საქმეა და აქ ს, კიროვი ვერ ჩაერევაო" („სახალხო საქმე", 1920 წ., 23 ივნისი).

წესით და რიგით, რუსეთის ელჩი საქართველოს შინაურ საქმეებში მართლაც არ უნდა ჩარეულიყო, მაგრამ ერეოდა და არცთუ იშვიათად. ამას ქვემოთ ვნახავთ. ახლა კი ყური დავუგდოთ კიროვის განცხადებას, რომელიც მან თბილისში ჩამოსვლის პირველ დღეებში სოციალ-დემოკრატების გაზეთ „ბორბას" თანამშრომლებთან საუბრისას გააკეთა: „რაც შეეხება საკითხს — ხომ არ ვაპირებთ ჩვენ გავხადოთ საქართველო „აღმოსავლეთის კარებად" იმ მხრივ, რომ გადავაქციოთ იგი ჩვენი აღმოსავლეთის პოლიტიკის ცენტრად, ამაზე უნდა განვაცხადო, რომ ასეთი განზრახვა ჩვენ არა გვაქვს... ჩვენ არ გვჭირდება ნიღბის აფარება. ჩვენ რომ სხვა ამოცანები გვქონდა დასახული, მაშინ... არ დავდებდით შეთანხმებას საქართველოსთან" (ა. მორგოშია, ს. მ. კიროვი საქართველოში, თბ., 1960, გვ. 77-78).

ელჩის პოსტზე თავისი საქმიანობა ს. კიროვმა საქართველოში იმით დაიწყო, რომ შემოირიგა რუსეთ-საქართველოს

სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით განაწყენებული აქაური კომუნისტები, დაარწმუნა ისინი, რომ საზავო ხელშეკრულების გაფორმება ობიექტურმა გარემოებებმა შეაპირობეს და ახლა მშვიდობიანი ურთიერთობა საქართველოსთან ცენტრის მიზანშეწონილი პოლიტიკაა.

თავიანთი სამშვიდობო განზრახვისათვის, რომ მეტი დამაჯერებლობა მიენიჭებინათ, ლენინის დავალებით, გ. ჩიჩერინმა შეადგინა ე. წ. „კავკასიის ინსტრუქცია", რომელიც დაეგზავნათ რკპ (ბ) კავბიუროსა და კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს წევრებს. ინსტრუქციაში ნათქვამი იყო: „...უთუოდ უნდა შეიკავოთ თავი საქართველოს, სომხეთისა და თურქეთის მთავრობათა წინააღმდეგ აჯანყების... ცდებისაგან. განუმარტეთ ამ რესპუბლიკებში გადატრიალების მომხრე ელემენტებს, რომ **საერთო პოლიტიკური მოსაზრებებით, როგორც მსოფლიო კონიუნქტურის, ისე ჩვენი სამხედრო მდგომარეობის გამო** მათ არ უნდა დაიწყონ თავიანთი მიზნების განხორციელება" (ხაზი ჩემია — **ო. ჯ.**).

ს. კიროვს დიდი მუშაობა მოუხდა თითქმის განადგურებული საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის ფეხზე დასაყენებლად და განსამტკიცებლად. ამან საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას საფუძველი მისცა, ეჭვის თვალით შეეხედა ახლადჩამოსული მოსკოველი დიპლომატისათვის.

— საქართველოს მთავრობა დარწმუნებულია, რომ „ჩვენი წარმომადგენლობის სახით აქ ჩამოვიდა „საქართველოს რევკომი". ასეთივე აზრისაა ყველა აქაური უცხოური მისიაცო", — ანდობდა საიდუმლოს კიროვი თავის უშუალო შეფს, გ. ჩიჩერინს (ს. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, ტ. I, მ., 1936, გვ. 232, რუსულ ენაზე).

დაახლოებით სამ თვემდე დაყო ს. კიროვმა თბილისში როგორც რსფსრ სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა (1920 წ. 17 სექტემბერს იგი მოსკოვს გაიწვიეს და პოლონეთთან საზავო მოლაპარაკების დელეგაციის მეთაურად გაგზავნეს რიგაში). ამ ხნის განმავლობაში თითქმის ყოველ მეორე დღეს იგი დიპლომატიურ ნოტებს უგზავნიდა საქართველოს მთავრობას. სისტემატური მიმოწერა ჰქონდა გ. ჩიჩერინთან, ხშირად უკავშირდებოდა ვ. ლენინს, ატყობინებდა მათ საქარ-

თველოს ხელისუფლების ყოველგვარ მოქმედებას, აწვდიდა ცნობებს ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის შესახებ.

თავის საპროტესტო ნოტებში ს. კიროვი საქართველოს მთავრობას მოურიდებლად სდებდა ბრალს კომუნისტთა გაუმართლებელ რეპრესიებში, ბოლშევიკური ორგანოს დახურვაში, საბჭოთა წარმომადგენლობის მუშაკთა ჩხრეკასა და დაკავებაში, საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებისა და წარმომადგენლობების დაშვებაში, მიუთითებდა ნეიტრალიტეტის დარღვევის ფაქტებზე, რომ საქართველო ქვანახშირსა და ნავთობს აწვდიდა ვრანგელს, საქართველოში გროვდებოდა მოხალისეთა არმია თეთრგვარდიელთა დასახმარებლად და სხვ.

ვნახოთ, რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს აღნიშნული ბრალდებები:

1. საქართველოს მთავრობამ 1920 წ. 14 ივნისს, მართლაც, აკრძალა გაზეთი „კომუნისტი" სამხრეთ ოსეთში აჯანყების თაობაზე წერილის გამოქვეყნებისათვის. მაგრამ თვით ს. კიროვის აღიარებით, ეს სტატია იძლეოდა საბაბს გაზეთის დახურვისათვის, რის გამოც კომუნისტ ამხანაგებს მივუთითეო (ს. კიროვი, დასახ. წიგნი, გვ. 230).

2. კომუნისტთა მიმართ რეპრესიებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია: „საქართველოში, სადაც არსებობს დაკანონებული დემოკრატიული გარანტიები, ამა თუ იმ პარტიის წევრობისათვის არავის არ სდევნიან. ყველა პარტიებს, და მათ შორის კომუნისტურ პარტიასაც, მიცემული აქვთ საშუალება და უფლება თავისუფალი არსებობისა. და თუ კომუნისტებს სდევნიან, ეს გამოწვეულია მათი მოქმედებით, რომელიც მიმართულია საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ და რომლის მიზანს შეადგენს შეიარაღებული ძალით საქართველოს არსებული მთავრობის ჩამოგდება" („საქართველოს რესპუბლიკა", 1921 წ., 28 იანვარი.).

3. ჰქონდა თუ არა საქართველოს ხელისუფლებას ობიექტური საფუძველი ეჭვის თვალით შეეხედა საბჭოთა წარმომადგენლობის საქმიანობისათვის თბილისში? — ჰქონდა. ამის დასადასტურებლად თუნდაც ის ფაქტი იკმარებდა, რომ საბჭოთა წარმომადგენლობის შენობაში გაიმართა საქართვე-

ლოს კომკავშირის არალეგალური ყრილობა (ვ. იმედაძე, იმ დღეების გახსენება, თბ., 1958, გვ. 33). გარდა ამისა, საბჭოთა წარმომადგენლობის ხელშეწყობით საქართველოში რევოლუციური მუშაობის საწარმოებლად შემოდიოდა რკპ (ბ) არაერთი აგენტი, შემოჰქონდათ ფული და იარაღი რევოლუციურ ძალთა დასახმარებლად და სხვ.

4. რაც შეეხება ბრალდებას საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებისა და პიროვნებათა საქმიანობის შესახებ. საქართველო დღიდან დამოუკიდებლობისა ნეიტრალური ქვეყანა იყო. საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და ჰუმანური მოსაზრებებით მას არ შეეძლო უარი ეთქვა და თავის ტერიტორიაზე აეკრძალა ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის მოღვაწეობა, თუ იგი მიმართული არ იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობას არ აუკრძალავს თბილისში სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს საქმიანობაც კი, სანამ ეს უკანასკნელი მთავრობის ძირგამომთხრელ მოქმედებას დაიწყებდა. აქ შეიძლებოდა შვეიცარიის მაგალითის მოყვანაც: რუსეთის რევოლუციური ემიგრაციის დიდი ნაწილი (თვით ვ. ი. ლენინიც) ხომ ხანგრძლივად ცხოვრობდა და ცარიზმის საწინააღმდეგო პროპაგანდასა და საქმიანობას ეწეოდა ამ ნეიტრალურ ქვეყანაში. ბოლშევიკთა მიერ სისხლიანად წოდებულ ნიკოლოზ მეორესაც კი არ მოსვლია აზრად ამის გამო პროტესტი ეგზავნა შვეიცარიისათვის.

5. ე. წ. მოხალისეთა თაობაზე. მოხალისეთა არმიაში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დენიკინისა თუ ვრანგელის დასახმარებლად გროვდებოდა, უმთავრესად საშოვრის მაძიებელი მეფის არმიის ყოფილი ოფიცრები და საქართველოში შემოხიზნული ავანტიურისტები ერთიანდებოდნენ. თუკი ამ არმიაში ჩაწერის სურვილს საქართველოს მოქალაქეც გამოთქვამდა, მთავრობას არ შეეძლო მისთვის ამის აკრძალვა, რადგან დემოკრატიულ სახელმწიფოში პიროვნების თავისუფლება არ არის შებოჭილი მკაცრი არტახებით. ცალკეულ პიროვნებებს თავიანთი შეხედულებისამებრ უფლება ჰქონდათ, წასულიყვნენ ან არ წასულიყვნენ ვინმეს დასახმარებლად.

ამასთან ეს ფაქტი ნეიტრალიტეტის დარღვევის ბრალდებად ვერ გამოდგება, რადგანაც 1907 წ. ჰააგის მეხუთე კონვენციის თანახმად ნეიტრალური ქვეყნის მოქალაქეებს, როგორც მოხალისეებს, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვა სახელმწიფოთა საომარ მოქმედებებში. ამასთან ერთად, იგივე კონვენცია ნეიტრალურ ქვეყნებს მეომარ სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობებსაც არ უკრძალავს.

ახლა ერთ ფაქტსაც მოვიყვან, რომელიც მოწმობს, რომ კიროვი აქტიურად ერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში და არღვევდა დამოუკიდებელი რესპუბლიკის სუვერენიტეტს.

1920 წ. ზაფხულში საბჭოთა აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობები შეთანხმდნენ ურთიერთშორის დაედოთ სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აზერბაიჯანი ნავთობის პროდუქტებით მოამარაგებდა საქართველოს. „უკიდურესი ზომების მიღება დამჭირდა, რათა ეს მოლაპარაკება ჩამეშალა და ხელშეკრულება, რომელიც სრულიად მზად იყო, დარჩა ხელმოუწერელიო“, — თავად აღიარებს რუსეთის ელჩი გ. ჩიჩერინისათვის გაგზავნილ წერილში (ს. კიროვი, დასახ. წიგნი, გვ. 235).

საქართველოს ხელისუფალთათვის ს. კიროვის „საქმიანობა“ სრულად იყო ცნობილი. მთავრობას ყველა უფლება ჰქონდა იგი პერსონა ნონ გრატად გამოეცხადებინა, მაგრამ თავს იკავებდა, რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა. მეტიც: როგორც ახლა ირკვევა, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია ესწრაფოდა კიდეც საბჭოთა რუსეთთან უფრო მეტ დაახლოებას და აცხადებდა, რომ „წავიდოდნენ ყოველგვარ კომპრომისზე გარედან დაპყრობის თავიდან აცილების მიზნით და სისხლისღვრას ურჩევნიათ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება“. მაგრამ საქართველოს მთავრობაში იყო მეორე მიმდინარეობაც, რომლის იდეოლოგსაც ნ. რამიშვილი წარმოადგენდა. იგი არ მალავდა: „გავყვები ვისაც გინდა, მხოლოდ არა ბოლშევიკებსო“ („კომუნისტი“, 1989, 9 ივნისი). ასეთი პოზიცია ხელს აძლევდა იმ ქართველ „მოღვაწეებს“, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ, დაეჩქარებინათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების

დამყარება, მაგრამ გარკვეულ დრომდე მოსკოვი არ რთავდა მათ ამის ნებას.

1920 წ. შემოდგომაზე პოლონეთთან ზავის დადებისა და ვრანგელის დამარცხების შემდეგ რუსეთში ძირითადად დამთავრდა შინაომლობა. თანდათანობით საბჭოთა რუსეთისათვის სასიკეთოდ იცვლებოდა საგარეო ვითარებაც.

1920 წლის ნოემბრის მიწურულს XI არმიის ძალებით ერევანში დაეცა დაშნაკების მთავრობა, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და ს. ორჯონიკიძემ ჩათვალა, რომ „საქართველოს საკითხიც“ უკვე მომწიფდა.

სერგო ცდილობს, საქართველოში თავმომწონედ შემოვიდეს. მან იცის, რომ „არსად გარეგნულ მხარეს ისე ყურადღებას არ აქცევენ, როგორც აქ, ხოლო წითელი არმია ჩაცმულია ძალიან ცუდად“, ამიტომ ითხოვს: „საჭიროა... არმია აქ ჩაცმულ-დახურული იყოს როგორც საჭიროა, დათა ის თავის გარეგანი სახით მიმზიდველი იყოს, რომ... წითელარმიელებში არ ხედავდნენ კონკებში გახვეულ ადამიანებს“ (გ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, თბ., 1957, გვ; 55).

1920 წლის დეკემბერში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ სამხედრო ნაწილებზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ ცადა საქართველოს გასაბჭოება, მაგრამ ცენტრმა ისევ თავშეკავება და მოთმინება ურჩია.

ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვისათვის სასურველი რეაგირება არ მოჰყოლია პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისადმი 1921 წ. 2 იანვარს გაგზავნილ მათ წერილს, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აუცილებლობას ასაბუთებდა.

20 იანვარს საქმეში ჩაერია რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გ. ჩიჩერინი, რომელმაც ვრცელი წერილი გაუგზავნა ვ. ლენინს. წერილი დეტალურად აღწერდა, თუ როგორ არღვევდა საქართველოს მენშევიკური მთავრობა 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულებას და მიმართავდა მასობრივ რეპრესიებს კომუნისტთა წინააღმდეგ. ჩიჩერინი მიუთითებდა, რომ საქართველოში უკვე მომწიფდა რევოლუციური კრიზისი. ამ წერილს გაეცნო ი. სტალინიც, რომელმაც იტვირთა შემდგომი ნაბიჯი. 24 იანვარს მან წერილით მიმართა ცენტრალური კომიტეტის წევრებს. სტალინი წინადადებას

აყენებს, მისცენ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს, რათა დაუყოვნებლივ შეუდგეს სამზადისს კავკასიაში საკითხის სამხედრო ჩარევით გადასაწყვეტად, ხოლო ორჯონიკიძეს დაევალოს, მოამზადოს აჯანყებულთა გამოსვლები საქართველოს ცნობილ რაიონებში.

ტროცკი, კამენევი და კრესტინსკი საკითხის რამდენიმე დღით გადადებას მოითხოვდნენ. ვ. ლენინმა ი. სტალინის წერილზე წააწერა: „არ გადავდოთ!" (გ. ჟვანია, დიდი ოქტომბერი და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, თბ., 1987, გვ. 341, რუსულ ენაზე).

[არც გადაუდიათ. 1921 წ. 26 იანვარს შედგა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს საკითხი. პლენუმის დადგენილება პირადად ვ. ლენინმა დაწერა. დადგენილებაში ვკითხულობთ:„ 1) დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გააჭიანუროს ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოსთან, ამასთან სისტემატურად შეკრიბოს **ზუსტი მასალა** მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ...

2) შეეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები **საქართველოსთან დაუყოვნებლივი ან მოახლოებული ომისათვის.** ამ საკითხის **ჩამოყალიბება**, ამასთან იმის აღნიშვნა, რომ **საქართველო საშინლად გათავხედდა**, დაევალოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ამხ. ტროცკი, ამხ. ჩიჩერინი და ამხ. სტალინი.

3) მივცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნა, **მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის**" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 42, გვ. 288-289; ხაზი ჩემია — ო. ჯ.).

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ დადგენილებიდან? — 1) ის მასალები, რაც საქართველოს მთავრობის მიერ რუსეთთან. საზავო ხელშეკრულების დარღვევის საილუსტრაციოდ ცენტრს გააჩნია, როგორც ჩანს, არც მთლად საიმედოა და არც საკმარისი ომის დასაწყებად. ამიტომ ევალება გ. ჩიჩერინს ერთბაშად კი არ გაწყვიტოს კავშირი საქართველოსთან, არამედ ჯერ **გააჭიანუროს** იგი. ამასთან სისტემატურად

შეაგროვოს **ზუსტი** ცნობები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება საბაბად გამოდგეს.

2) რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკის სამხედრო ხელმძღვანელობას და კავკასიის ფრონტის სარდლობას ფაქტიურად ავალებს, ემზადონ საქართველოსთან მოსალოდნელი ომისათვის.

3) სპეციალურ კომისიას ევალება, კავკასიის ფრონტს არაორაზროვნად აცნობოს, რომ საქართველოს მთავრობას უკვე თავს გაუვიდა — **„საშინლად გათავხედდა“**, რისთვისაც იგი უნდა დაისაჯოს.

პლენუმის გადაწყვეტილება, ვ. ლენინის დავალებით, 27 იანვარს ი. სტალინმა ბაქოში აცნობა ს. ორჯონიკიძეს. სტალინი იწერებოდა: „ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება, გაწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ, შესაძლოა, საჭირო შეიქნეს სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია... რა ძალები დაგვჭირდება..., რომ უეჭველად დავამარცხოთ საქართველო... აუცილებლად ჩემს სახელზე გამოგზავნე ცნობა, შეგვიძლია თუ არა, ვიქონიოთ სრული გამარჯვების იმედი... თუ უნდა დავიწყოთ, უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა ხელმოწერილი გვექნება ინგლისთან ხელშეკრულება... მე და ილიჩი ველით შენგან ზუსტ, გაუზვიადებელ ცნობას“ („კომუნისტი“, 1989 წ. 10 ივნისი).

ს. ორჯონიკიძის პასუხი იგვიანებდა. ერთ კვირას ელოდნენ, მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. 5 თებერვალს ვ. ლენინმა ს. ორჯონიკიძისაგან მოითხოვა, პასუხი სტალინის აღნიშნულ დეპეშაზე. გაირკვა ,რომ ორჯონიკიძეს სტალინის დეპეშა არ მიუღია (ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიული ქრონიკა. — შემდგომში „გ. ქ.“ — ტ. 10, გვ. 79-80, რუსულ ენაზე).

6 თებერვალს ს. ორჯონიკიძე ბაქოდან ვ. ლენინსა და ი. სტალინს უგზავნის დეპეშას და მუქ ფერებში უხატავს მათ საქართველოში შექმნილ ვითარებას: „საქართველო საბოლოოდ გადაიქცა მსოფლიო კონტრრევოლუციის შტაბად ახლო აღმოსავლეთში“, საჭიროა დაუყოვნებლივ დავიწყოთ აქ შეიარაღებული აჯანყებაო.

8 თებერვალს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა ს. ორჯონიკიძის დეპეშა და დაამტკიცა ვ. ლენინის

მიერ წარმოდგენილი პასუხი მასზე. პასუხი დეტალურად განსაზღვრავდა საქართველოს ბოლშევიკთა სამოქმედო ხაზს.

სამხედრო ოპერაციის უშუალოდ დაწყების წინ ლენინმა მოითხოვა „სრული გამარჯვების" გარანტია არა მარტო პარტიის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელობისაგან, არამედ XI არმიის ყველა მეთაურისა და კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრთაგანაც („ბ. ქ.", ტ. 10, გვ. 120; ასევე; ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 50). ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. ლენინს კარგად ახსოვს 1920 წლის მაისის ამბები, როცა ს. ორჯონიკიძის ინიციატივით საქართველოს გასასაბჭოებლად აზერბაიჯანის ტერიტორიიდან დაძრულმა წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოს საზღვრებთან მარცხი განიცადეს და უკუიქცნენ. იმხანად ამ აქციას ფართო სკანდალი არ გამოუწვევია, რაშიც გარკვეული როლი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასაც მიუძღვის (ამაზე ქვემოთ). ახალი ოპერაციის მარცხს კი შეიძლება საერთაშორისო გართულება მოჰყოლოდა (საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე ცნეს დე-იურედ ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა), ამიტომ რევოლუციის ბელადს „სრული გამარჯვების" გარანტია სჭირდებოდა, რათა საქართველოს ოკუპაციითა და გასაბჭოებით ანტანტა მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინა.

10 თებერვალს ი. სტალინი კიდევ ერთხელ უკავშირდება ს. ორჯონიკიძეს — „მაცნობე, საჭიროა თუ არა ჯარი საქართველოს გასაბჭოებისათვის და როდის დადგება შესაფერისი მომენტი საამისოდო" („კომუნისტი", 1989 წ. 10 ივნისი). როგორც ჩანს, შეთანხმდნენ, რომ შესაფერისი მომენტი უკვე დადგა. დაითქვა ზუსტი თარიღიც — 11 თებერვალი!

1921 წ. 11 თებერვალს ვ. ლენინმა კრემლში მიიღო ფრანგი სოციალისტი ა. გილბო და საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის წევრი ა. როსმერი. ამ დროს მას მაგიდაზე ედო საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ჩიჩერინის წერილი გილბოს შესახებ. საუბრის დროს ლენინი ამ წერილზე აკეთებს აღნიშვნებს: „1) გილბო, 2) სომხეთი და საქართველო, 3) სპარსეთი" („ბ. ქ"., ტ. 10, გვ. 105; აგრეთვე; ვ. ი. ლენინის მუშაობის ორი თვე, მ., 1934 წ. გვ. 69, რუსულ ენაზე).

რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? გულუბრყვილო უნდა იყო კაცი, იფიქრო, რომ რევოლუციის ბელადი ფრანგ სტუმრებს ამიერკავკასიის და სპარსეთის პრობლემებზე ესაუბრებოდა და რომ ეს ჩანიშვნებიც ამ მიზნით ჰქონდა გაკეთებული, არა! — ლენინმა იცოდა, რომ იმ დღეს — 11 თებერვალს, ღამით, სომხ. -საქართველოს საზღვარზე უნდა დაწყებულიყო „აჯანყება". ამ „აჯანყებაზე" დიდი „საერთაშორისო" იმედები იყო დამყარებული. შემდეგი ნაბიჯი შეიძლება სპარსეთი გამხდარიყო. ამიტომ სრულიად სხვა თემაზე საუბრისას ვ. ლენინს ფიქრი, როგორც ჩანს, მაინც ამიერკავკასიაზე გაურბის. გარდა ამისა, ლენინის ამ ჩანიშვნებს, შესაძლებელია, ასეთი დატვირთვაც ჰქონდეს: საკითხს ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ამიტომ საგანგებოდ ინიშნავს ,რათა თვალწინ ედოს და მის შესახებ დამატებითი ინფორმაცია და ცნობები მოითხოვოს, ვისგანაც ჯერ არს.

ეს რომ ასეა და არა სხვაგვარად, მეორე დღეს გამოჩნდება.

11-12 თებერვალს ღამით ლორეს ნეიტრალურ ოლქში დაიწყო ინსცენირებული აჯანყება. ვ. ლენინი კავშირგაბმულობის მიზეზით ვერ დააკავშირეს ს. ორჯონიკიძესთან. 12 თებერვალს დღის განმავლობაში მას ამიერკავკასიიდან არავითარი ინფორმაცია არ მიუღია, არ იცის, როგორ განვითარდა მოვლენები საქართველოში. ბუნებრივია, ლენინი ღელავს და აღშფოთებულია ამ უმსგავსობით. არც ფარავს თავის აღშფოთებას. ეს ნათლად იგრძნობა სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. სკლიანსკისადმი წერილში, რომელიც ლენინმა 12 თებერვალს დაწერა. აი, ეს წერილიც: გაუგონარი და დაუჯერებელი რამ ხდება ჩვენს კავშირგაბმულობაში. „მე და სტალინი **უმნიშვნელოვანეს საქმეებზე** ვერ დავკავშირებივართ ორჯონიკიძეს, ფომინი-სმილგას". სასწრაფოდ დანიშნეთ დონის როსტოვში პასუხისმგებელი პირი, — ავალებს ლენინი სკლიანსკის, — რომელმაც აუცილებელი კავშირი იქონიოს ორივესთან და მათი პასუხები მუდმივად მოგვაწოდოს მე და სტალინს. „თუ ეს არ გაკეთდა, **სასამართლოს გადავცემ** აქაურ პასუხისმგებელ პირებს (ან მივაღწევ მათ დათხოვნას და დაპატიმრებას). ეს აუტანელია...

P. S... არ არის კავშირი (!!) ისეთ თანამდებობის პირებთან, როგორიცაა სმილგა და ორჯონიკიძე!! (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 52, გვ. 69-70, რუსულ ენაზე).

ვ. ლენინის ბიოგრაფიული ქრონიკა მოწმობს, რომ 1921 წ. 12 თებერვალს ბელადი უმთავრესად კავკასიისა და მასთან დაკავშირებული საკითხებით იყო დაკავებული. ამავე დღეს ლენინმა მიიღო რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი ირანში ფ. როტშტეინი, რომლის რწმუნების მანდატს ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ მოაწერა ხელი და დანიშნულების ადგილზე გამგზავრების წინ ელჩს სათანადო დირექტივები მისცა („ბ. ქ.", ტ. 10, გვ. 75, 113). უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველივე ეს დროში უნებლიედ არ დაემთხვეოდა ერთმანეთს.

14 თებერვალს ლენინის სახელზე მოვიდა კავკასიის ფრონტის XI არმიის მთავარსარდლის ა. ჰეკერის 12 თებერვლის დეპეშის ასლი, რომელიც გადმოგზავნილი იყო ბაქოდან. ჰეკერი უპატაკებდა, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ლორეს ოლქში დაწყებული აჯანყება წარმატებით ვითარდებაო. ამავე დღეს ლენინმა მიიღო ლორეს აჯანყებულთა შტაბისა და რევკომის მიმართვა ყველა მშრომელისადმი ლორეს ნეიტრალურ ზონაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ" („ბ. ქ.", ტ. 10, გვ. 119-120).

ვ. ლენინი აღარ აყოვნებს. ცენტრალური კომიტეტის სახელით სასწრაფოდ წერს დეპეშას XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს მისამართით, შემდეგ პოლიტბიუროსა და ორგბიუროს გაერთიანებულ სხდომას ამტკიცებინებს დეპეშის ტექსტს, რომლის მანქანაზე გადაბეჭდილ ეგზემპლარს გადასცემს ე. სკლიანსკის, რათა ამ უკანასკნელმა დაშიფროს და გაგზავნოს დანიშნულებისამებრ. დეპეშას თავზე უკეთებს აღნიშვნას: „დამიბრუნეთ" („ბ. ქ.", ტ. 10, გვ. 121). როცა დეპეშა უკან დაბრუნდა, მასზე ახალი მინაწერი გააკეთა: „...სჯობს, შეინახოთ უაღრესად საიდუმლოდ 2-3 თვით" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45,გვ. 50).

მაინც რა ეწერა ამ დეპეშაში, რომლის ასე გასაიდუმლოებას მოითხოვდა ლენინი? ლენინის დეპეშაში ეწერა: „ცეკა მზადაა, ნება დართოს მე-11 არმიას, აქტიურად დაეხმაროს აჯანყებას საქართველოში და დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმების დაცვით" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 50).

თავის მხრივ, თითქოს ლენინს არ ენდობაო, სტალინმა დეპეშა გაუგზავნა ს. ორჯონიკიძეს. დეპეშის რუსულ ტექსტში ქართულად ჩაუწერა: „ახლავე შეუტიე, დასტურია, ალაფეს ქალაქი“[1].

XI არმიის ნაწილებმა კურსი თბილისისაკენ აიღეს. ბრძოლის კერიდან მოსკოვში ახალ-ახალი ინფორმაციები მიდიოდა წითელი არმიის წარმატებების შესახებ. მიუხედავად დამაიმედებელი ცნობებისა, ლენინს მაინც ნაადრევად მიაჩნდა ამ ამბების გამჟღავნება. საგანგებოდ გააფრთხილა კიდეც კომენევი, რომელმაც გაბედა და ეს საიდუმლო მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციის მონაწილეებს გაანდო („ბ. ქ.“, ტ. 10, გვ. 140). ლენინის სიფრთხილეს მოწმობს სხვა ფაქტიც: 18 თებერვალს ლენინმა კრემლში მიიღო საქართველოს რევკომის თავმჯდომარედ დანიშნული ფ. მახარაძე, რომელსაც სათანადო დარიგებები მისცა და სპეციალური ვაგონით თბილისისაკენ გამოისტუმრა. ამასთან ლენინმა პირადად გააფრთხილა გზათა სახალხო კომისარიატი, რომ ეს მგზავრობა უაღრესად საიდუმლოდ დარჩენილიყო (ვ. ი. ლენინის შესახებ. მოგონებები. მ., 1963 წ., გვ. 492, რუსულ ენაზე).

ახლა საჭირო იყო ზრუნვა საქმის დიპლომატიურ მხარეზეც. 1921 წ. 15 თებერვალს ლენინი საგანგებო დეპეშას უგზავნის XI არმიის ხელმძღვანელობას, უხსნის, რომ „...მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ოპერაციები ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა ადგილობრივი დაცვაა თეთრგვარდიელთა მხრივ მოსალოდნელი განადგურებისაგან“. შემდეგ არიგებს: „ანგარიში გაუწიეთ თქვენი ოპერაციის ამ პოლიტიკურ ხასიათს ყველა თქვენს საჯარო გამოსვლაში“, და დასძენს: „...ჩვენ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან მოველით ენერგიულ და სწრაფ მოქმედებას, რომელიც იმასაც კი არ მოერიდება, რომ თბილისი აიღოს“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 50-51). არც მორიდებიან!

---

1 საინტერესოა, რომ სტალინსა და ორჯონიკიძეს შორის ამგვარი პაროლი სხვაგანაც გეხვდება და კვლავ ქალაქის აღებას უკავშირდება. როცა 1921 წ. თებერვალში რუსეთის ჯარის ნაწილები თბილისისაკენ დაიძრნენ, სომხეთში ანტისაბჭოთა ამბოხებამ იფეთქა. აჯანყებულები ერევანში გამაგრდნენ. ამ ამბების გამო სტალინმა ორჯონიკიძეს უდეპეშა «Нужно ускорить ქალაქის აღება, без этого вопрос об Ереване будет хромать».

16 თებერვალს XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანებით შულავერში შეიქმნა საქართველოს რევკომი (რევკომების შექმნის ამგვარი წესი განსაზღვრა სრულიად რუსეთის ცაკის 1919 წ. 24 ნოემბრის დებულებამ) ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის, ა. გეგეჭკორის, შ. ელიავას და სხვათა შემადგენლობით. შექმნისთანავე რევკომმა თხოვნით მიმართა ვ. ლენინს — დიდი პროლეტარული რევოლუციის ქვეყანამ მარტო არ დაგვტოვოს და არმიით დაგვეხმაროსო (არსებითად, რევკომის შექმნის უმთავრესი მიზანიც ეს იყო).

საინტერესოა, რა ხდებოდა ამ დროს თბილისში. ს. კიროვის ნაცვლად საქართველოში დანიშნული რუსეთის ახალი ელჩი ა. შეინმანი არწმუნებდა თავის გამომგზავნელთ: აქაური კომუნისტური ორგანიზაციები სისხლისაგან დაცლილნი არიან, „ქვეყნის შიგნით არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს მთავრობის დამხობაო“, მაგრამ მალე მან მოსკოვიდან მიიღო ცნობა „რუბიკონი გადავლახეთო!“ (ჟურნ. „კავკასიონი“, პარიზი, 1968, № 13, გვ. 90). თუმცა საქართველოს მთავრობისათვის არაფერი შეუტყობინებია. სომხეთის მხრიდან შემოჭრილი ჯარის ნაწილების თაობაზე კი აცხადებდა, რომ „არაფერი ვიცი, ეს სომხეთის მთავრობის საქმეაო“.

საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი შეეცადა პირდაპირი მავთულით მოლაპარაკებოდა მოსკოვს, მაგრამ უარი მიიღო. ნ. ჟორდანიამ დეპეშით მიმართა გ. ჩიჩერინს: „რას მოითხოვთ ჩვენგან. გვაცნობეთ მიზნები, რისთვისაც დაიწყეთ ომი ჩვენს წინააღმდეგ, შეიძლება უსისხლოდ შევთანხმდეთ“ („სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ., 16 ივნისი). დეპეშაზე პასუხი არ მიუღიათ. უნაყოფო გამოდგა ნ. ჟორდანიას ცდა — დაკავშირებოდა ლენინსა და ტროცკის.

ყოველივე ამის შემდეგ უცნაური ჩანს ნ. ჟორდანიას განცხადება დამფუძნებელი კრების სხდომაზე 15 თებერვალს. დეპუტატთა წინაშე გამოსვლისას საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ამბობდა: „ჩვენ გვაქვს ოფიციალური განცხადება რუსეთის წარმომადგენლისა, რომ მოსკოვი ამ საქმეში (11 თებერვალს ლორეში დაწყებულ „აჯანყებაში“ — ო. ჯ.) არ ერევა, რომ ის გადაჭრით დგას 7 მაისის ნიადაგზე“. ნ. ჟორდანიას კვერი დაუკრა გვარდიის მეთაურმა ვ. ჯუღელმა: „მოსკოვი განზე დგას, ფორმალურად მაინც მოსკოვი

მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის წინაშე აშკარად მაინც გულში მახვილს ვერ ჩაგვცემს, — მოსკოვი ამას აშკარად ვერ იზამსო". მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატი სპ. კედია მიუთითებდა სიმართლეს: „...ჩვენ გვებრძვიან არა ლორესათვის, არა ბორჩალოსათვის, არა. ჩვენ გვებრძვის ამ შემთხვევაში იდეა საბჭოთა რუსეთისა, გვებრძვის არა რომელიმე ნაჭრისათვის ჩვენი ქვეყნისა, არამედ მთელი საქართველოსათვის" („საქართველო", 1921 წ., 17 თებერვალი).

მალე სოციალ-დემოკრატებიც მოეგნენ გონს. 16 თებერვალს საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა მიმართვა „ყველას, ყველას, ყველას!" მიმართვაში აღნიშნულია: „...რუსეთის საბჭოთა მთავრობა იდენს ისტორიაში უმაგალითო ბოროტმოქმედებას. მას შემდეგ, რაც დაარღვია ჩვენთან დადებული ყველა ხელშეკრულებები, მან გადასწყვიტა, წითელი დროშის და ლამაზი ლოზუნგების ნიღბის ქვეშ, შეიარაღებული ძალით მოსპოს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენობა!" („საქართველოს რესპუბლიკა", 1921 წ., 18 თებერვალი).

21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ რევკომის წევრები საქართველოს მოღალატეებად გამოაცხადა[1] და მთელ ერს მოუწოდა, დაეცვა საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. მიუხედავად ქართველი იუნკრების თავდადებისა, გვარდიისა და ლაშქრის რამდენიმე წარმატებული ბრძოლისა, მტრის შემოტევა მოგერიებულ ვერ იქნა. 24 თებერვალს საქართველოს მთავრობამ თბილისი დატოვა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

25 თებერვალს XI არმიის ნაწილები თბილისში შემოვიდნენ. თბილისის მიმართულებით ჯარის ჯგუფის უფროსმა მ. ველიკანოვმა მოკლედ უპატაკა: „...ჩემდამი რწმუნებულმა ჯარმა 12 სთ. 15 წუთზე დაიკავა ქალაქი ტფილისი. წითელარმიელების, კამანდირების და კომისრების გმირული მოქმედება მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებით დაგვირგვინ-

---

[1] გაივლის ზუსტად ერთი თვე ამ დღიდან და 1921 წ. 21 მარტს, ხელისუფლების სათავეში მოქცეული რევკომი თავად დემოკრატიული საქართველოს მთავრობის წევრებს გამოაცხადებს „მშრომელი ხალხის მოღალატეებად".

და, ქალაქი ტფილისი — ბურჟუაზიის უკანასკნელი სიმაგრე დაეცა და საქართველო გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკათ“ („კომუნისტი“, 1921 წ., 3 მარტი). უფრო ლაკონური იყო ბაქოდან კრემლში ს. ორჯონიკიძის მიერ გაგზავნილი დეპეშა: „თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

საბჭოთა ისტორიოგრაფია ათწლეულების განმავლობაში ამტკიცებდა, რომ საქართველოს აჯანყებულმა მშრომელებმა წითელი არმიის ძმური დახმარებით დაამხეს მენშევიკური მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლებაო. მაგრამ ეს განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს. არ იყვნენ მართლები ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი, როდესაც მოსკოვს არწმუნებდნენ, საქართველოში ყველაფერი მზად არის საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლადო. სერგო მაშინაც ტყუოდა, როცა 1921 წ. თებერვალში ი. სტალინს აცნობებდა: „ჩაგრულთა დამცველი წითელი არმის გამოჩენამ საქართველოს ტერიტორიაზე აუწერელი აღტაცება და ზეიმი გამოიწვია... თავიანთ მხსნელებს პურმარილით ხვდებოდნენ, ბევრნი სიხარულისაგან ტიროდნენ“ (ს. ორჯონიკიძე, დასახ. წიგნი, გვ. 188). არ უნახავს ეს თავის თვალით ს. ორჯონიკიძეს. იგი ამ დროს ბაქოში იმყოფებოდა, ხოლო, ვინც საკუთარი თვალით იხილა ყოველივე, ცოტა ხნის შემდეგ და წერს: „მაგონდება მე ტფილისი თებერვლის 25-ს, დაღვრემილი, თავზარდაცემული ჩვენი საზოგადოება, ზანტად გამოსული ქუჩაზე, თითქოს ცხოვრების მიზანი დაჰკარგვია ამ ხალხს და გაოგნებულს აღარ ესმის, რას უნდა ემსახუროს, რა ნაბიჯი უნდა გადადგას, რა გზას მისცეს თავი“ („სოციალ-ფედერალისტი“, 1921, 16 მარტი).

საქართველოს გასაბჭოების უშუალო მონაწილეთაგან, ვისაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ მიეყიდა სული სატანისათვის, რამდენიმე კაცი იტყვის სიმართლეს (რაც შემდეგ ძვირად დაუჯდებათ). ფ. მახარაძის 1921 წ. 6 დეკემბრის მოხსენებითი ბარათი უკვე გამოქვეყნდა, აქ დავიმოწმებ მის კიდევ ერთ წერილს ვ. ლენინისადმი, რომელიც 1921 წ. 1 მარტითაა დათარიღებული. ეხება რა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, ფ. მახარაძე აღნიშნავს: „მოვლენები განვითარდა რამდენადმე მოულოდნელად და მუშათა კლასი

აღმოჩნდა ამ მოულოდნელი ფაქტის წინაშეო“ (საქართველოს მშრომელები ვ. ი. ლენინს. დოკუმენტების კრებული, თბ., 1964 წ., გვ. 13, რუსულ ენაზე).

ბ. ლომინაძე 1924 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ ბროშურაში წერს, რომ წითელი ჯარების შემოტევის დროს, 1921 წელს საქართველოს რევოლუციურ ძალებს არავითარი აქტიურობა არ გამოუჩენიათ, „ჩვენი რევოლუცია 1921 წელში დაიწყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით წითელი არმიის ხიშტებით, რომელთაც ქართველი პატრიოტები სთვლიან გარეშე ძალად. თვით საბჭოთა რევოლუცია გამოიხატა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციაში“ („კავკასიონი“, 1968, № 13, გვ. 91).

ვ. ლენინმა იცის, რაც მოხდა სინამდვილეში საქართველოში (პირველი შემთხვევა ხომ არ არის, გავიხსენოთ აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოება), მაგრამ მისი აღიარება არ იქნება მომგებიანი საერთშორისო თვალსაზრისით, მით უფრო, რომ „საზღვარგარეთ გააფთრებულ აგიტაციას ეწევიან რსფს რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით“. ამიტომ 1921 წ. 16 აპრილს ვ. ლენინი საგანგებოდ არიგებს ს. ორჯონიკიძეს (მას ენდობა): „საჭიროა, რომ საქართველოს რევკომმა დაიწყოს სერიოზული კონტრაგიტაცია, რომელშიც უნდა აღინიშნოს, ჯერ **ერთი**, რსფს რესპუბლიკის მშვიდობისმყოფლური როლი, **მეორე** — საქართველოს მუშათა და გლეხთა და არმიელთა **მასების** აქტიური და ინიციატივიანი როლი, მასებისა, რომლებმაც დაამხვეს საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა, და, მესამე, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობების როლი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს როგორც სომეხ და თათარ, ისე ქართველ აჯანყებულებს თვითდაცვის მიზნით, საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობის აგრესიული ნაბიჯების წინააღმდეგ“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 106).

საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა დამოკიდებულება საქართველოსადმი, შეიძლება ითქვას, უკვე გავარკვიეთ. ახლა ვნახოთ, როგორი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამოკიდებულება ბოლშევიკებთან და საბჭოთა რუსეთთან.

როგორც ზემოთ ითქვა, ქართველი სოციალ-დემოკრატები გაემიჯნენ პროლეტარიატის დიქტატურას, მაგრამ მათ შეინარჩუნეს სიმპათიები რუსეთისადმი. სათქმელია ისიც, რომ საქართველოს მთავრობა ბოლშევიკების მიმართაც გარკვეულ შემწყნარებლობას იჩენდა, მაშინ, როდესაც თავად ბოლშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ მთავრობის ჩამოსაგდებად.

ოპოზიციური პარტიები მიუთითებდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ამგვარი პოზიციის საშიშროებაზე და აფრთხილებდნენ მთავრობას. აი, რას სწერდა ეროვნულ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო“ 1918 წ. 5 ივნისს: „კომიზმმა ბოლშევიკებთან ბრძოლაში ყოველისფერს გადააჭარბა... ჰანიბალის პარტიზანულ ბრძოლას რომაელები გაცილებით მეტის გამჭრიახობით ეკიდებოდნენ, ვიდრე ჩვენი მთავრობა ბოლშევიკებს... ჩვენი მთავრობა თითქოს კეკემალულას ეთამაშება მათ... იმათი მხრიდან ძარცვა-გლეჯა, განადგურება... მთავრობის ჯარის გამოჩენაზე თეთრს დროშას გამოჰკიდავენ, გაიმართება მოლაპარაკება, მიტინგი, ორთავე მხრით წარმოდგებიან „შეგნებული ამხანაგები“ და რევოლუციის სახელით წითელ დროშაზე მარქსის სახეს შეჰფიცავენ თანამშრომლობას, ერთად ბრძოლას, ასე რიგდებიან“. იგივე გაზეთი 1919 წ. I აპრილს ურჩევდა მთავრობას, „მოიშალოს პარტიული ძმა-ბიჭობის ადათი და პასუხისმგებლობის სრულის შეგნებით შეუდგეს ბოლშევიკების ანტისოციალურ მოქმედების სათავეშივე ჩაქრობას“.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპ. კედია დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე გამოსვლისას მკაცრად აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის საქმიანობას. იგი ამბობდა: მთავრობის „მოქმედების ხაზია მუდმივი მერყეობა-ქანაობა... მებრძოლ ინტერნაციონალურ პოლიტიკასა და ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას შორის... მთავრობას დღესაც **არა** აქვს გამორკვეული სახელმწიფოებრივი შემოქმედების ორიენტაცია, ის, თუ რომელ პრინციპს მისცეს უპირატესობა და სახელმძღვანელოდ გაიხადოს, — მოსკოვის პრინციპი თუ პარიზისა... ერთიმეორის უარმყოფელ ღირებულებებს შეიცავს ჩვენი მთავრობის პოლიტიკა და არ ჩანს, თუ საითკენ იხრება ის და ეს გაურკვევლობა უაღრესად მვნებელია და

სახიფათო. თუ ერთის მხრით, ჩვენ მთავრობას მოსკოვის ცენტრისადმი ფრაქციული სიძულვილი აქვს, მეორე მხრივ მასთან პრინციპული სიყვარული აკავშირებს" („სახალხო საქმე", 1919 წ., 22 მარტი).

ჰქონდათ თუ არა ოპოზიციურ პარტიებს ამგვარი განცხადებების საფუძველი? — ჰქონდათ და საკმაოზე მეტიც. ქვემოთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს მოვიყვან:

1918 წ. ზამთარში თეთრგვარდიელებმა და კაზაკებმა ქ. კავკავი აიღეს და იგი ბოლშევიკებისაგან გაათავისუფლეს. დამარცხებულმა ბოლშევიკურმა ჯარებმა საქართველოს სამხედრო გზით უკან დაიხიეს და საქართველოს საზღვრებს მოადგნენ. ს. ორჯონიკიძე ამ ამბებთან დაკავშირებით წერს: „როცა ამხანაგებმა პირდაპირი მავთულით გამოუძახეს ყაზბეგიდან საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, ჟორდანიას, და თხოვდნენ მას, შეეშვა ისინი საქართველოში, მან უპასუხა, რომ შეუძლია გამოატაროს ქართველები, მაგრამ არა რუსებიო. მაშინ ჩვენებმა უპასუხეს, რომ ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ისინი დაჟინებით მოითხოვენ ყველა ჩვენი ამხანაგის გატარებას... ჟორდანიამ ...წინადადება მისცა პოლკოვნიკ წერეთელს გავეტარებინეთ ჩვენ, მაგრამ მხოლოდ ისე, თითქოს ეს მოხდა ბრძოლის შემდეგ. და აი წერეთელმა გაითამაშა კომედია, რამდენიმე ქართველი ჯარისკაცი გაიყვანა ჩვენი ჯარების ზურგში და ატეხა ჰაერში სროლა, რაც თითქმის ერთი საათი გაგრძელდა, მერე კი მოდის სამხედრო რელაცია იმის შესახებ, რომ ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ ბოლშევიკები დატყვევებული არიანო" (გ. ორჯონიკიძე, დასახ. წიგნი, გვ. 110-111).

იგივე ოჯონიკიძე აღნიშნავს, რომ 1919 წ. ზაფხულში ორი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოშიც. ძველმა ურთიერთობამ ბევრ ამხანაგთან ჯერ კიდევ არალეგალობის პერიოდიდან და ერთად მუშაობამ თავისი გაიტანა და სამხრეთში ჩემი ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში, ...მე თითქმის არავითარი შეტაკება არ მქონია ადგილობრივ ამხანაგებთანო" (იქვე, გვ. 89-90). სხვაგან ს. ორჯონიკიძე იხსენებს: „როდესაც 1919 წელს შემთხვევით მოვხვდი თბილისში, ნოე ჟორდანიამ ამხანაგის პირით შემომითვალა: „სერგო! ნუ ივლი თბილისის ქუჩებში, ჩვენ შენ არ

დაგიჭერთ, მაგრამ ინგლისელებმა იციან შენი აქ ყოფნა და ისინი დაგიჭერენო“ („კომუნისტი“, 1921 წ., 17 მარტი).

რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? იქნებ სახარებისეულ მორალს ეწევა ანგარიში, „გიყუარდეთ თქუენი მტრებიო“. მერედა, ვინაა ქრისტეს მცნების აღმსარებელი, — ნ. ჟორდანია? უხუცესი ქართველი მარქსისტი, ვინც დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ ღერბზე წმინდა გიორგის გამოსახულებას რელიგიური სიმბოლიკა ჩამოაშორებინა? ძნელი დასაჯერებელია.

1920 წ. 7 მაისს რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა. ამ ფაქტის გამო ნ. ჟორდანიამ თავის წარმომადგენელს მოსკოვთან მოლაპარაკებაზე, გ. ურატაძეს, გაუგზავნა დეპეშა, რომელიც ასეთი შინაარსისაა: „გილოცავთ საზავო ხელშეკრულების დადების გამო. გადეცით სოვნარკომს, რომ ზავის ცნობა ხალხმა აღტაცებით და დიდი სიამოვნებით მიიღო. ამიერიდან, დარწმუნებული ვარ, რომ ყოველგვარი გაუგებრობა საქართველოსა და რუსეთს შორის მოისპობა და ორივე მოძმე ხალხი შეთანხმებით იმუშავებენ ახალი ცხოვრების შესაქმნელად სოციალისტურ საფუძველზე. სალამი მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 11 მაისი). ამხანაგები და ნაცნობები გასაგებია, მაგრამ ვინ უნდა იყოს ნ. ჟორდანიას მეგობარი ბოლშევიკურ „სოვნარკომში“? ამ დეპეშამ დიდი გამოხმაურება და კამათი გამოიწვია საქართველოს დამფუძნებელ კრებაში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა გ. გვაზავამ მოურიდებლად აღნიშნა: „მესმის, ბატონებო, არის ეგრეთწოდებული საერთაშორისო თავაზიანობა, ზრდილობიანობა. რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება დაიდვა, თავის თავად ცხადია, ჩვენი ერის წარმომადგენელს უნდა გაეგზავნა დეპეშა. ეს დეპეშა უნდა ყოფილიყო გამოწვეული იმ გარემოებით, რომელსაც ითხოვს ჩვენი პოლიტიკური პოზიცია. სამწუხაროდ, ეს დეპეშა მეტს ამბობს და არღვევს იმ პოზიციას, რომელიც მთელმა საქართველომ დაიკავა... მთავრობის თავმჯდომარემ თითქმის სრულებით, მთლად გამოიცვალა აზრი... ჩვენ ომი გამოვუცხადეთ ბოლშევიკებს და მაშინ, როდესაც ჩვენ შველას მოველოდით (ევროპისაგან, — ო. ჯ.) — სწორედ

აქ რაღაც მოხდა და ნოე ჟორდანია, უბრალო დრომ ვსთქვათ, ვ. ლენინს ეუბნება თქვენთან ვართ, ძვირფასო ლენინო. და ჰკოცნის მას.. .რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს საზღვარგარეთ!“ („საქართველოს დამფუძნებელი კრება, მე-16 სხდომის ანგარიში, გვ. 22-24).

კიდევ რამდენიმე ფაქტი: საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადების შემდეგ მოსკოვიდან დაბრუნებულ გ. ურატაძეს თბილისის გაზეთებმა ინტერვიუ ჩამოართვეს. საინტერესოა, რომ იგი არსად არ ამხელს, თუ რა შევიწროებას განიცდიდა მოლაპარაკების მსვლელობისას, ან როგორ უშლიდა ხელს როსტოვიდან მის მოსკოვში გამგზავრებას ს. ორჯონიკიძე („ერთობა“, 1920 წ., 4 ივნისი; „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 4 ივნისი). საკითხავია, რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ სერგო მისი „თანაკლასელია“ ლონჟიუმოს პარტიული სკოლიდან, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა!

მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, რაშიც ლომის წილი ს. ორჯონიკიძეს მიუძღვის, და მენშევიკური მთავრობა ემიგრაციაში აღმოჩნდა, ემიგრანტის მძიმე ხვედრი გაიზიარა გ. ურატაძემაც. აი, აქ, იგი უკვე აღარ ინდობს სერგოს და თავის წიგნებსა და მოგონებებში პირდაპირ მიუთითებს, რომ როსტოვში ჩემი ძველი ნაცნობი ორჯონიკიძე — „საქართველოს დაუძინებელი მტერი, მეტად მტრულად შეხვდა ჩემს მისიასო“ („კომუნისტი“, 1989 წ., 8 აგვისტო).

ზემოთ უკვე ითქვა, რომ რუსეთ-საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება შეიცავდა საიდუმლო დამატებას, რომლის თანახმად საქართველოს მთავრობას თავის ტერიტორიაზე თავისუფალი არსებობის და საქმიანობის, მათ შორის, ბეჭდვითი ორგანოების გამოცემის უფლება უნდა მიეცა ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის.

რატომ იყო ეს მუხლი საიდუმლო და ვისთვის იყო იგი გასაიდუმლოებული? ეს მუხლი რაიმე სამხედრო-სტრატეგიულ ინფორმაციას არ შეიცავს, რომ მისი გამჟღავნება მხარეებისათვის საზიანო გამოდგეს, არც უცხოეთის სადაზვერვო სამსახურებს უმალავენ მას, როგორც სახელმწიფო-სამხედრო საიდუმლოებას. საქართველოს მთავრობა ამ მუხლით მასზე დაკისრებულ ვალდებულებას უმალავს... საკუთარ ხალხს, რად-

გან ამის გამო ნამდვილად დაიმსახურებდა ხალხის გულის-წყრომას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აღვნიშნეთ, 1920 წ. აპრილში აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ წითელი არმიის ნაწილები საქართველოსკენ დაიძრნენ. ნ. ჟორდანია იგონებს: „მივიღეთ სასწრაფო ზომები, გამოვაცხადეთ სამხედრო წესები, გვარდიის მობილიზაცია და სხვ... რადგანაც მთავარი მეომარი ელემენტი იყო გვარდია, როგორც გადაჭრით ანტიბოლშევიკური, გადავსწყვიტეთ მორალი მისი გაგვემაგრებია ხმის გავრცელებით, მოდის არა რუსის, არამედ აზერბაიჯანელთა ჯარი, აზერბაიჯანელთა მთავრობის ბრძანებით... საზოგადოთ რუსის შიში დიდი იყო, თუ რუსეთი დაიძრა, ვერას გავაწყობთო, საჭირო იყო დიდი მუშაობა, რომ ასეთი პანიკური განწყობილება შეგვესუსტებიაო“ (ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, გვ. 171). ვითომ მართლა ასეთი შიში ჰქონდათ რუსეთის? ხომ არ არის აქ რუსეთის რიდი, რუსეთის სახელის გაფრთხილება? ხომ არ იმალება ჟორდანიას ამ სიტყვებში რაღაც მამაძაღლობა? („მამაძღლობას“ თავად ნ. ჟორდანია ეძახდა პოლიტიკას). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ხდება იმ დღეებში, როცა გ. ურატაძე მოლაპარაკებას აწარმოებს მოსკოვის ხელისუფლებასთან. საბჭოთა რუსეთის მტრული მოქმედების გამჟღავნება ქართველი ხალხის ანტიბოლშევიკურ განწყობილებას კიდევ უფრო გააძლიერებდა, რასაც, შესაძლო იყო, არა მარტო რუსეთთან ხელშეკრულება ჩაეშალა, არამედ საკუთარი მთავრობისადმი ხალხის უნდობლობაც გამოეწვია და ამას მთავრობის უეჭველი გადადგომა მოჰყოლოდა (არ დაგავიწყდეს, მკითხველო, დემოკრატიულ საქართველოზე ვსაუბრობთ).

კიდევ ერთი ფაქტი და, ვგონებ, საკმარისი იქნება: 1921 წ. 7 თებერვალს საქართველოს დე-იურედ ცნობისადმი მიძღვნილ ბანკეტზე საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის სახელით ს. ქავთარაძემ ნ. ჟორდანიას მიმართა:

„ამხანაგო ნოე! მე მოგმართავთ ასე, რადგან ის წყარო, რომლიდანაც ჩვენ მიგვიღია იდეური საზრდო — ერთია... თქვენთვის, როგორც სოციალისტისათვის, რომელიც სახელმწიფოს სათავეში უდგია და რომლის საბოლოო მიზანი სოციალიზმია, არსებობს საქართველოსა და რუსეთს შორის

უფრო ღრმა კავშირი, ვიდრე ისტორიული და გეოგრაფიული... იმ ჰიმნს, რომელიც არის ლოცვა მთელი მსოფლიოს სოციალისტური პროლეტარიატის და აგრეთვე თქვენიც, თქვენ-მოსმენთ ღრმა სასოებით და თქვენი გული მეტის თანაგრძნობით და სიყვარულით აძგერდება „ინტერნაციონალის“ ხმების გაგონებაზეო“ („საქართველო“, 1921 წ. 15 თებერვალი). როგორც ჩანს, მართალია ცნობილი ისტორიკოსის ვ. კლუჩევსკის აზრი, რომ „ვერავითარი ახალი პარტიული მტრობა ვერ აღმოფხვრის ძველ გულითად მეგობრობას“.

ყოველი პიროვნება თავის ცხოვრების გზაზე განიცდის ევოლუციას. ბუნებრივია, იგი განვლო ნ. ჟორდანიამაც, რომელიც თვითონვე წერს, „პირველი დიდი ევოლუცია ვარშავაში განვიცადე, როცა მარქსიზმს ვეზიარე და ნაროდნიკული სკამიდან მარქსისტულზე გადმოვჯექიო“ („ჩემი წარსული“, გვ. 25).

მეორე ევოლუცია ნ. ჟორდანიას მაშინ უნდა განეცადა, როდესაც იგი საქართველოს პრეზიდენტი გახდა და ეროვნულ ნიადაგზე დამკვიდრდა. ამას ინტერნაციონალური მარქსისტული სავარძლიდან ქართულ ეროვნულ სკამზე გადაჯდომა უნდა მოჰყოლოდა წესით. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ჟორდანიაში ეროვნულსა და პარტიულს შორის ყოველთვის პარტიული სძლევდა. ვითარება კი დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტისაგან ეროვნულობის პრიმატს მოითხოვდა. ნ. ჟორდანიამ ეს ვერ მოახერხა, რის გამოც იგი ერთდროულად ორ სკამზე მჯდომი აღმოჩნდა. ხოლო ორი ბატონის მსახურებაზე შესანიშნავადაა ნათქვამი სახარებაში: „ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად“. ვერ შეძლო ეს „დიდმა“ ნოემაც, რომელსაც ბედმა არგუნა ყოფილიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი და ერთად-ერთი პრეზიდენტი. მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს ტრაგიკულ ბედში ეს გარემოება არ ყოფილა განმსაზღვრელი. იგი უფრო სუბიექტურ ფაქტორთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ.

და მაინც, თუ ზოგადად შევაჯამებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს და ვიკითხავთ, რატომ ვერ იხარა სიმართლის ნერგმა, რამ გამოიწვია უკუსვლა 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, უნდა ვთქვათ შემდეგი:

1. მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მარქსისტული თეორიით შეიარაღებული ბოლშევიკები, რომლებიც პლანეტის ჩაგრული მასების „განმათავისუფლებელთა“ როლში მოგვევლინენ, აღმოსავლეთისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებად ქცეულ დემოკრატიულ საქართველოს დიდხანს ვერ მოითმენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი ევროპის ქვეყნებისაგან მოითხოვდა, საქართველოს საკითხი რუსეთის საშინაო ცხოვრების საქმედ ეცნოთ, რასაც მიაღწია კიდეც, ლენინი საქართველოს გასაბჭოებას „საერთაშორისო საკითხად“ მიიჩნევდა. ეს მართლაც ასე იყო. 25 თებერვალი რუსეთის ბოლშევიკთა დიდი პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

2. ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ რუსეთში გაჩაღებულ სამოქალაქო ომში გამარჯვება საბჭოთა ხელისუფლებას დარჩა. საბჭოთა რუსეთმა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციაც მოიგერია. ამან რამდენადმე შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობის დამკვიდრებული ასპექტები.

მართალია, ევროპის მეთაურმა სახელმწიფოებმა ცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა როგორც დე-ფაქტოდ, ისე დე-იურედ, მაგრამ საქართველო ერთა ლიგაში არ მიუღიათ. ამიტომაც იყო, რომ ანტანტის ქვეყნებს, ფაქტიურად, აღარც შეუშლიათ ხელი რუსეთისათვის, დაეპყრო და გაესაბჭოებინა საქართველო.

3. დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მერყევმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ (ხან ანტანტა, ხან რუსეთი), მისმა ლოიალურმა დამოკიდებულებამ ცალკეულ ბოლშევიკ ლიდერთა მიმართ და ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფაში დაშვებულმა ხარვეზებმა **გაუადვილეს** რუსეთს თავისი მიზნების მიღწევა საქართველოში.

4. რენეგატებად ქცეულმა ი. სტალინმა, ს. ორჯონიკიძემ, მ. ორახელაშვილმა, შ. ელიავამ და ფ. მახარაძემ, ს. კიროვის, ა. მიქოიანისა და სხვათა დახმარებით მხოლოდ **დაიჭარეს** საქართველოს გასაბჭოება. მაგრამ ეს გარემოება საქართველოს ამ უძღებ შვილთ ვერ გაამართლებს. შემოუძღვნენ რა უცხო ძალას საქართველოში, ისინი დამპყრობელთა ხელშემწყობის როლში მოგვევლინენ, რაც საკუთარი ქვეყნის წინაშე ღალატის ტოლფასია და ასეც უნდა იქნეს შეფასებული.

დასასრულ, თუ მოკლედ ვუპასუხებთ კითხვაზე — რა მოხდა საქართველოში 1921 წლის თებერვალში, შეიძლება გავიზიაროთ ქართველი პოლიტემიგრანტის ს. ჭირაქაძის აზრი, რომლის თანახმად, საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდა ბოლშევიზმი და სოციალ-დემოკრატია (მენშევიკები), „ამ ბრძოლაში იმ მხარემ გაიმარჯვა, რომლის მეთაურებს ხელით მარქსიზმის დროშა მოჰქონდათ, გულით კი რუსული იმპერიალიზმი. დამარცხდა ის მხარე, რომლის მეთაურები ეროვნული დროშით იბრძოდნენ, ხოლო გულში მარქსიზმს ატარებდნენ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლოთქმა

თითქმის შვიდი ათეული წლის მანძილზე მიჩნეული იყო, რომ 1921 წლის 25 თებერვალმა საქართველოში სათავე დაუდო ხალხის ნათელ და ბედნიერ ცხოვრებას, გააცისკროვნა ჩვენი მომავალი. მერე ლექსადაც გავიზეპირეთ: „25 თებერვალი გათენდება ხვალ, თებერვალო საქართველოს გაზაფხული ხარ!“

არ არის თებერვალი საქართველოს გაზაფხული! მით უფრო 25 რიცხვი!

1921 წ. 25 თებერვალი, ისე როგორც 1801 წ. 12 სექტემბერი ყველაზე უდიდესი დამარცხების თარიღია მრავალჭირნახული და ბედკრული ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ დღეს საქართველომ დაკარგა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

თუ 1801 წ. 12 სექტემბერს მეფის რუსეთმა გატეხა „იმპერატორული სიტყვა“, დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი და მოახდინა საქართველოს ანექსია, 1921 წ. 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა გატეხა „ლენინური სიტყვა“, დაარღვია 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და სამხედრო ინტერვენციის გზით დაიპყრო საქართველო.

25 თებერვალმა წერტილი დაუსვა 26 მაისის აღმაფრენას. „თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი“, — წერდა იმ ხანად პოეტი კოტე მაყაშვილი. გასაბჭოებულ საქართველოში 25 თებერვალმა კარგა ხანს, მართლაც, დაჩრდილა 26 მაისი, მაგრამ ვერ აღმოფხვრა დამოუკიდებლობის წყურვილი, ვერ ჩაკლა თავისუფლებისაკენ მიმსწრაფი ეროვნული სული, რისი დასტურიცაა ბოლო დროს ჩვენში ერთბაშად აზვირთებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

კეთილმა სძლია ბოროტს, აღდგა ისტორიული სამართლიანობა — დაიგმო 25 თებერვალი და საქართველოში გაიმარჯვა

26 მაისის სულისკვეთებამ. თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალები კვლავ შეაკავშირა ეროვნულმა სამფეროვანმა დროშამ. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა პრაქტიკული აუცილებლობის საკითხად იქცა.

ეროვნული თვითშეგნების სწრაფი ზრდა, თავისუფლებისაკენ ხალხთა ბუნებრივი სწრაფვა, საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოზიტიური პროცესები და მსოფლიოს დემოკრატიული ძალების მხარდაჭერა ის საიმედო გარანტიაა, რომელიც სანუკვარ მიზანს მოაახლოებს და დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებას რეალობად აქცევს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ა. მუჯირი

გარეკანი მხატვარ თ. შარიფაშვილისა

გადაეცა წარმოებას 9. 08. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 02. 91 წ. ქაღალდის ზომა 84×108 1/32; ნაბეჭდი თაბახი 3,36. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 2,8.

ტირაჟი 26.000 შეკვ. 1789

ფასი 60 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის სახელობის
საზოგადოება „ცოდნა"
თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 47

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14

Типография Грузинского журнально-газетного издательства
«Самшобло», 380096, Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Джанелидзе Отар Яковлевич

ОТ 26 МАЯ К 25 ФЕВРАЛЯ

(На грузинском языке)
Общество «Цодна» имени И. Чавчавадзе
Республики Грузия

Тбилиси, ул. М. Костава, 47
1990

ЭКЗЕМПЛЯР

ინდექსი 76016 ᲒᲐ/34 II

ეროვნული
ბიბლიოთეკა